სამშაბათი, 1917 წ. გიორგობისთვის 21 (4) № 257
წელიწადი მესამე

სამშაბათი, 1917 წ. გიორგობისთვის 21 (4) № 257
ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

კ ო ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი პირველ გიორგობისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: $15 \times 2 = 8$ მანეთი, $20 \times 2 = 10$ მანეთი, $30 \times 2 = 15$ მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი. ფული და წერილები, რომელიც კონტორას ეწერება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათ.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5 თავად-აზნაურობის ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

გაზეთის შინაარსი

წ ი ნ ა მ ხ ა რ ი დ ა ნ

სახელმწიფო ბანკს სახალხო კომისრების საბჭოსათვის 5 მილიონი მანეთი მიუცია.—აღმოაჩინეს შეთქმულება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ; შეთქმულებაში კადეტების გამოჩენილ მოღვაწეებსა და მემარჯვენე სოციალისტ-რევოლუციონერებს მიუღიათ მონაწილეობა.—შეიპყრეს გენერალი ბარანოვსკი.—ქარხნების დაკეტვის გამო პეტროგრადში 21 ათასი უმუშევარი დარჩენილა.—ლენინს 1899 წელს გაწვეული ჯარის კაცები დაუთხოვნია.—გიორგობისთვის 19-ს თბილისში ეროვნული ყრილობა დაიწყო. პირველ დღეს სხვა და სხვა სახელმწიფოთა და პარტიათა წარმომადგენლების მილოცვა მოისმინეს.—საქართველოს კათალიკოსმა ყრილობის მიმართ გუჯარი გამოსცა.

წ ე რ ი ლ ე ბ ი დ ა ნ

ვასილ წერეთელი. 19 ნოემბერი 1917 წ.
პირველი დღე (შთაბეჭდილებანი).

გრ. რობაქიძე. ქართული რენესანსი.
შ. ჯანაშვილი. მოწინავე რაზმი.
კორესპონდენცია. ზემო იმერეთიდან.

ეროვნულ ყრილობის ანგარიში.

ოთხშაბათს, 22 გიორგობისთვეს კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზედ გადახდილი იქნება პანაშვიდი მეცხრე დღის სულის მოსახსენებლად სრულ 12 საათზედ განსვენებულის საფლავზედ

კნეინა მარიამ ილიას ასულის
თუმანიშვილისა
(მუსხელიშვილი)

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავადი დიმიტრი გრიგოლის ძე თუმანიშვილი, ტერეზია იოსების ასული მუსხელიშვილი შვილებით და კნეინა მარიამ გაბრიელის ასული თუმანიშვილისა შვილებით.
1—878—1

ოთხშაბათს 22 გიორგობისთვეს ქ. გორის საკრებულო ტაძარში გარდახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ალექსანდრე რაჟდენის ძე
ციციშვილისა

რასაც აუწყებს ქვრივი მისი ნათესავთ და ნაცნობთ.
(1—841—)

ქართული კლუბი

ქართული დრამა. წარმოდგენა № 17.

ხუთშაბათს 23 ნოემბერს, 1917 წ. თბილისის ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა.

არამზადები

დრამა 4 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ქიქოძე ნ., ივერიელი ა., შოთაძე ა., ჯაბახიშვილი ნ. ბ-ნნი: გვარამაძე ნ., დადიანი შ., ზარდალიშვილი ი., თარაშვილი ი., იმედაშვილი ა., კობახიძე ი, ქოიძე ს., შალიკაშვილი ვ., სარაული მ., ციციშვილი ნ.

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

მზადდება ახალი პიესა ხგ. უღრიანისა „ხულიგნები".
3—842—1

საქართველოს ეროვნული ყრილობა

პირველი დღე

19 გიორგობისთვეს გაიხსნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. დილის 9 საათიდან აურიცხველი ხალხი მიეშურებოდა სახელმწიფო თეატრისაკენ, სადაც დანიშნული იყო ეროვნული ყრილობა. თეატრში წესრიგის მიმცემნი იყვნენ და სტუმრებს ბილეთებით უშვებდნენ თეატრში. ვინც წინა დღეებში ვერ მოასწრო შესავლელი ბილეთების აღება, გარედ დარჩა. ასეთნი ძალიან ბევრნი იყვნენ, რადგან თეატრში ადგილი არ იყო. 12 საათზე თეატრი გაიჭედა ხალხით; პარტერებში, ლოჟებში, იარუსებზე, კორიდორებსა და სცენაზედაც ტევა არ იყო. ვისაც დასაჯდომი ადგილები ვერ ეშოვა ფეხზე იდგნენ. საქართველოს ყველა კუთხის მთელი ქართველობის (განსაკუთრებულად სარწმუნოებისა) ყოველგვარ საზოგადო და კერძო დაწესებულებათა, პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მხრივ კრებაზე ჯერ-ჯერობით გამოცხადდა 320 კაცამდე. ლოჟებში ადგილი ეჭირათ საპატიო სტუმრებს: 1) კავკასიის მხედრობის მთავარ სარდალს ღენერალ პრჟევალსკის ამალით; 2) ამიერ-კავკასიის კომისარიატის წევრებს; 3) ამიერ-კავკასიის სარევოლუციო ცენტრების დელეგატებს; 4) უცხო სახელმწიფოთა (ინგლისისა, საფრანგეთისა, ამერიკისა, იტალიისა და სპარსეთის) დიპლომატიურ კორპუსის წარმომადგენლებს; 5) ეროვნებათა წარმომადგენლებს: რუსებისა, პოლონელებისა, უკრაინელებისა, მუსულმანებისა, სომხებისა, ებრაელებისა, აფხაზებისა, ქართველ მაჰმადიანებისა და სხ. ეროვნულ საბჭოების, სხვა და სხვა კომიტეტთა, პარტიათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლებს. გარდა თბილისისა და ქუთაისის ქართული პრესის თანამშრომლებისა არიან კორესპონდენტები თბილისისა, ბაქოსი და რუსეთის ზოგიერთ დიდ ქალაქების გაზეთებისა. ქართული დროშა აფრიალებულია თეატრის წინა ფასადზე, ასეთივე დროშა ამშვენებს სცენაზე დადგმულ მაგიდას. მიუხედავად ცივი ამინდისა აურიცხველი ხალხია მოზღვავებული. სამაგალითო წესრიგი არის თეატრის ყველა ადგილას. ხალხი მოუთმენლად მოელის კრების გახსნას. პარტერებში პოლიტიკური ფრაქციებს ასე უჭირავთ ადგილები: მარცხენა ფლანგი დაკავებული აქვთ ბოლშევიკებს, შემდეგ არიან მენშევიკები, „ერთობის"-ის მიმდევრები, ესერები, სოც.-ფედერალისტები, უპარტიონი, მარჯვენა ფლანგზე ნაციონალ-დემოკრატები.

ნაშუადღევის 1 საათ 15 წ. სცენის ფარდა აიხადა და კრება გახსნა ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ჩხენკელმა, რომელმაც ვრცელი, საპროგრამო სიტყვით მიმართა კრებას. აკაკი ჩხენკელის სიტყვა დიდი გრძნობით და პათოსით იქნა წარმოთქმული, რომელიც შემდეგ იქნება დაბეჭდილი.

ნაშუადღევის ორ საათზე ბ-ნმა ჩხენკელმა თავისი სიტყვა გაათავა, კრება გახსნილად გამოაცხადა და წინადადება მისცა ყრილობას აერჩია პრეზიდიუმი. კრებამ დაადასტურა პარტიების მიერ წინა-წარ შედგენილი პრეზიდიუმის სია, რომლითაც თავმჯდომარედ არჩეულია ნოე ჟორდანია. მის ამხანაგებად: აკაკი ჩხენკელი, გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, ვლ. გობეჩია და პ. საყვარელიძე; მდივნებად—ი. მაჭავარიანი, გ. ჟურულიძე, ს. დადიანი, მ. გავაშელი, ი. გომართელი; სამანდატო კომისიაში—პეტრე ბარათაშვილი, რევაზ გაბაშვილი, გიორგი ფაღავა, მ. საყვარელიძე, შალვა მიქელაძე, ლეო შენგელაია, ალ. ყანჩელი, შარაშიძე.

ნოე ჟორდანიას სიტყვა

ნოე ჟორდანიამ თავმჯდომარის სავარძელი დაიჭირა და მოკლე შემდეგი შინაარსის სიტყვით მიმართა კრებას: ნება მიბოძეთ მოგესალმოთ და მადლობა მოგიძღვნათ ნდობისათვის რომ თავმჯდომარედ ამირჩიეთ. დღემდისაც რამდენიმე პოლიტიკური პარტია მოქმედებდა, მაგრამ ეროვნული ყრილობა არ მოუწვევიათ, ამას თავისი მიზეზი აქვს. ყრილობის მოწვევის ხანა ეხლა დადგა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ერი პატარა არის და ვცხოვრობთ დიდი ფრონტის მახლობლად. ამიტომ დიდი საფრთხილე გვმართებს ტალღებმა არ ჩაგვითრიონ. რუსეთში ეხლა არ არსებობს ერთიანი მთავრობა, იქ ანარქიაა გამეფებული და უნდა ვეცადნეთ არ წაგვლეკოს ამის ტალღებმა. ეხლავე უნდა შევერთდნენ ძალები როგორც ეროვნულად ისე ინტერნაციონალურად და ჩავუყაროთ მკვიდრი საფუძველი მომავალ ეროვნულ ცხოვრებას.

ევგენი გეგეჭკორის სიტყვა

ევგენი გეგეჭკორმა, ამიერ კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ, კომისარიატის მონდობილობით და თავის მხრივ მხურვალე სალამი მოუძღვნა კრებას და უსურვა დადებითი შედეგები, რომელსაც მოითხოვს ეხლანდელი მომენტი. ორატორმა განაცხადა სხვათა შორის: სარევოლუციო გამოცდილება, რომელიც გამოიარა ქართველმა ერმა, აიმედოვნებს კომისარიატს, რომ ქართველობა დაიცავს თავის ინტერესებს და რუსეთის ინტერესებს. უნდა ავიშოროთ თავიდან რუსეთში მოდებული ქარტეხილი. გაუმარჯოს დიდ რევოლუციას, ერთაშორის სოლიდარობას, ქართველ ერს, ქართველ მშრომელ მასსას.

გეგეჭკორის შემდეგ შინაარსიანი და გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა პრაჩმა, ამიერ-კავკასიაში რუსეთის კულტურის გამავრცელებელ საზოგადოების თავმჯდომარემ; ეფ. სულთანოვმა, მუსულმანთა ცენტრალ კომიტეტის წარმომადგენელმა; ბ-ნმა მეგზადიანმა, სომეხთა ეროვნულ საბჭოს მონდობილობით; ბ-ნმა ჩედლსკიმ, პოლონელთა აღმასრულებელ კომიტეტის მონდობილობით; ბ-ნმა შერვაშიძემ, აფხაზეთის მონდობილობით; გრუზენბერგმა, ტფილისის ებრაელთა მონდობილობით; მამედ-ბეგ აბაშიძემ, რომლის თითოეული სიტყვა გრძნობით იყო აღსავსე, ქართველ მაჰმადიანთა მონდობილობით; ბ-ნმა ნიახჩაიანმა, დაშნაკცაკანთა პარტიის სახელით; ალი კასიმოვმა, მუსულმანთა პარტიის „მუსავატი"-ს დავალებით, ბ-ნმა ღოლდმანმა, პოლონელთა პარტიის პ. პ. ს. მონდობილებით; ბ-ნმა პეკარსკიმ (პოლონურად) პოლონელ მწერალთა მონდობილობით; ბ-ნმა პეპინოვმა, ამიერ-კავკასიის დასავლეთ მხარეს მცხოვრებ მუსულმანთა მონდობილებით; ბ-ნმა დაიდიდემ, ლიტველების ორგანიზაციის სახელით და შეიხულ-ისლამოვმა, მუსულმან სოციალ-დემოკრ. პარტიის მონდობილობით.

წაკითხულ იქმნა დეპეშა ესპანეთის კონსულის ბ-ნ ბერბერიანისა, რომელიც აცხადებს, რომ ვწუხვარ, რომ ვერ მოვედი და ვულოცავ ქართველობას ეროვნულ კონგრესის მოწვევასო.

სრულიად საქართველოს კათალიკოსის გუჯარი.

თავმჯდომარე ნ. ჟორდანია აცხადებს, რომ სტუმრების მილოცვანი უკვე მოვისმინეთ და ეხლა შინაურ საქმეების განხილვას უნდა შევუდგეთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით უნდა მოვისმინოთ სიტყვა საქართველოს კათალიკოსის წარმომადგენლისა.

კათედრაზე ავიდა დეკ. ნ. თალაკვაძე და წაიკითხა კათალიკოს-პატრიარქის გუჯარი, რასაც ხალხი ფეხზე ადგომით ისმენდა.

შემდეგ გამოქვეყნებულ იქმნა საქართველოს ეროვნულ ყრილობის რეგლამენტი, რის შემდეგაც დამტკიცებულ იქმნა სამანდატო კომისია.

კომისიის წევრებად ერთხმად არჩეულ იქმნენ: გ. ფაღავა, ფ. მეგრელიძე, შ. მიქელაძე, მ. საყვარელიძე, ი. ჩერქეზიშვილი, ა. ყანჩელი, პ. ბარათაშვილი, რ. გაბაშვილი, შ. შარაშიძე და ლეო შენგელაია (ქაჩელი).

დღიური წეს-რიგი და კომისიები.

თავმჯდომარე აცხადებს შემდეგ წესრიგს: 1) თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი, 2) ერობა, 3) ლაშქარი, 4) ადმინისტრაცია, 5) იუსტიცია, 6) სკოლა, 7) საბჭოს წევრების არჩევნები და სხ. და მოითხოვს, რომ ამ საგნების შესამუშავებლად არჩეულ იქმნას ხუთი კომისია.

გრ. ვეშაპელი და გვაზავა თხოულობენ კომისიების არჩევნების გადადებას შემდეგი დღისათვის, რადგან არჩევნების შესახებ საჭიროა მოლაპარაკება ფრაქციებში და გარდა ამისა იქნებ გამოირკვეს, რომ ხუთ კომისიაზე მეტიც არის საჭირო.

წინადადება შეწყნარებულ იქმნა. კრება გადაიდო შემდეგი დღის პირველ საათამდე.

რეგლამენტი ეროვნულ ყრილობისა თავმჯდომარის განკარგულებით.

1) თავმჯდომარის უდასტუროდ სიტყვის წარმოთქმის ნება არავისა აქვს. ლაპარაკის მსურველი თავმჯდომარისაგან იღებს ნებართვას ბარათის მიწოდებით.

2) მომხსენებლის პირველი სიტყვა დროით არ განისაზღვრება, მეორედ შეუძლიან ილაპარაკოს არა უმეტეს ნახევარ საათისა. დანარჩენ ორატორებს პირველ სიტყვის სათქმელად ეძლევათ 15 წუთი, ხოლო მეორედ 5. სიტყვა კითხვის დაყენების შესახებ განსაზღვრულია სამის წუთით.

3) ერთსა და იმავე საკითხის შესახებ ერთსა და იმავე ორატორს მხოლოდ ორჯერ შეუძლიან ლაპარაკი.

4) განმარტება საპირადო საკითხის გამო მიიღება მხოლოდ მაშინ, როდესაც კამათი მთავარ საკითხის გამო დამთავრებულია.

5) ვინიცობაა, ორატორთა სიაში მოხსენებული პირი კრებაზე არ აღმოჩნდა, როცა მისი ჯერი დადგება, იგი პირველად გადატანილ იქნება სიის ბოლოს და განმეორებით კი— სრულებით ჰკარგავს სიტყვის უფლებას.

6) ორატორთ შეუძლიანთ თავისი ჯერი ლაპარაკისა ერთმანეთს დაუთმონ ან თავის უფლება სიტყვის თქმისა მას გადასცენ, ვინც სიაში შეტანილი არ არის.

7) სიტყვა წარმოითქმის მხოლოდ ტრიბუნიდან.

8) ყოველი წინადადება წერილობით მიიღება თავმჯდომარის მიერ.

9) კითხვის დაყენების წესრიგი თავმჯდომარეზე არის დამოკიდებული.

10) ყოველი დადგენილებანი მიიღება ხმის მარტივი უმრავლესობით, ხელის აწევით ან ადგომით.

გუჯარი სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის კირიონ II-სა საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიმართ

მშვიდობა თქვენდა და კურთხევა, რჩეულნო ივერიისანო! ძალმიხდილი, ქედდრამოსილი მამათმთავარი ებრაელთა იაკობ ქვეყანასა უცხოსა ეგვიპტისასა მოუწოდებდა ძეთა თვისთა ათორმეტთა და ეტყოდა: „შემოკრბით ჩემდა, რათა მიგითხრა რაჲ შეგემთხვევის თქვენ უკანასკნელსა დღეთასა, შემოკრბით და ისმინეთ ძეთა იაკობისთა, ისმინეთ ისრაელისა, მამისა თქვენისა" (შესაქ. 49, 1—2). ასულნო და ძენო ამა წარტყუენილისა და ძალმიხდილისა მცხოვნის საქართველოსანო! შემოკრბით ჩემდა, მამათმთავარისა თქვენისა, და ყური მიუპყართ სიტყვათა ჩემთა.

ოდეს ერი ქართველთაჲ გარემოიცვა შურმან, მტრობამან და ურთიერთას გაუგებრობამან, ოდეს იგი დაადგა გზასა დანაწილებისა და დაწვრილებისასა,—შესუსტდა შემოქმედებითი ნიჭი მისი, შეირყა სიმხნე სულისა მისისა, დაკნინდა შინაგანი ცხოვრება მისი, დაეცა სახელმწიფოებრივი ძალი მისი და მან, ლალმან და ქედმაღლობამან, მუხლი მოიდრიკა წინაშე უცხოთესლისა, რომელმან, თქმულისაებრ წერილისა, „ძენი თქვენნი წარიყვანნა და ცხენთა ზედა აღსხნა, ასულნი თქვენნი აღიხვნა და მზარეულ ქმნა; აგარაკნი თქვენნი და ვენახნი, ზეთის ხილნი თქვენნი და კეთილნი მიგიღოთ; თესლნი თქვენნი და ღვინონი განგიათეულნა და ყოს თქვენ მისდა მონად" (მეფ. 1, VIII, 11—17). „რაოდენგზის ინება" ღმერთმან-მშობელმან „შეკრება თქვენი, ვითარცა შეიკრიბნის ფრინველმან მართვენი თვისნი ქვეშე ფრთეთა თვისთა, გარნა არა ინებეთ ეს" (მათ. 23, 27) და აწ ცა „უფალმან" თქვენმან ნებაცა ამისი. და დღეს, ოდეს ვხედავ კრებულსა რჩეულთასა დიდებულსა, წინაწარმეტყველებრ ვღაღადებ: „აჰა ესერა რაჲ კეთილ ანუ რაჲ შვენიერ, არამედ დამკვიდრებაჲ ძმათაჲ ერთად" (ფსალ. 132, 1). ხელთა შინა თქვენთა არს მომავალი ერისა ჩვენისა, თქვენ ხართ სასო და ხელისამპყრობელ მისი. ღელავს და სძგინვარებს ზღვაჲ ჩრდილოსა, სანაპიროთა თვისთაგან გადმოხეთქილი, და წარღვნასა უქადის მრავალტანჯულსა ჩვენსა მხარესა. და თქვენ, რჩეულნო ივერიისანო, თქვენ უნდა იხსნათ სამშობლო განსაცდელისაგან, თქვენ უნდა განუსვენოთ მას, მიიყვანოთ ნავთსაყუდელსა მყუდროსა და დაამყაროთ მასში ძმობა, მშვიდობა, წესიერება და ბედნიერება. თქვენი ერთობა, ერთსულოვნობა და დღისა ვარამის განმტკიცებულობა წინდი არს იმისა, ვითარმედ „აღდგებიან მკვდარნი" (ის. 26, 19), საქართველო განცხოველდება და ქართველი ერი კვლავ აღბეჭდავს მატიანესა შინა კაცობრიობისასა საქმეთა თვისთა საგმიროთა. იყავნ, იყავნ!

აჩრდილნი დიდებულთა ჩვენთა წინაპართანი, ვედრებანი ახლად აღდგენილ ივერიის ეკლესიისანი და კურთხევა ჩემის უღირსეობისაჲ გფარვიდეს და წინაგიძღოდეს თქვენ გზასა მას მოღვაწეობისა თქვენისასა.

მდაბალი კირიონ მეორე, მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი.

ქ. თბილისით
19 ნოემბერს 1917 წ.

მილოცვა ქუთაისიდან

სალამს ვუძღვნი აღორძინებულ თავისუფალ საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას, რომელზედაც მიჯაჭვულია დღეს მთელი ქართველი ერის სული და გონება. ვუსურვებ მას სრულ გამარჯვებას მრავალ ნაწამებ საქართველოს მართვა-გამგეობის მძიმე საპასუხისმგებლო საკითხების გადაჭრაში. ვუსურვებთ საქართველოს მთლიანად აღდგენას და მის მტერთა განადგურებას.

ივანე პუხადაშვილი.

19 ნოემბერი 1917 წ.

19 ნოემბერი 1917 წლ. ამიერიდან ქართველი ერის სადღესასწაულო დღედ იქნება.

ერთი საუკუნის განმავლობაში ქართველი ერი, როგორც პოლიტიკური ორგანიზმი, აღარ იყო: მას აღარა ჰყავდა საკუთარი მთავრობა, იგი თავის თავს აღარ ეკუთვნოდა და, მაშასადამე, მონობის ჯაჭვით იყო შებორკილი, მონობის მძიმე უღელს ქვეშ ჰგმინავდა.

მაგრამ რუსეთის დიდმა რევოლუციამ ერთა თავისუფლების ზარი ჩამოჰკრა და საზარელი ბნელეთი ბრწყინვალე განთიადით შესცვალა.

იწყება ახალი ისტორიული ხანა, როდესაც არ იქნებიან არცა მპყრობელნი და არცა პყრობილნი, არცა ბატონნი და არცა მონანი.

ეს—ისტორიული კანონია, ე. ი. კაცობრიობის განათლებისა და კულტურის უზენაესი განვითარების შედეგია.

ერთი მხრით ტეხნიკის უშეწყვეტელი განვითარება და მეორე მხრით ხალხთა შეგნება შეუძლებელ ჰყოფენ რომელისამე ერის სხვა ერებზე ბატონობას.

ინგრევა პრინციპი დაპყრობისა, იმპერიალიზმისა, და მის ნანგრევებზე ახალი სოციალურ-ეროვნული შენობანი შენდებიან.

მაგრამ ცხადია, რომ თვითეულმა ერმა საკუთარი თავისუფლება თვითონვე უნდა შექმნა, თავისი შენობა საკუთარი ხელითვე უნდა ააგოს.

და 19 ნოემბერს 1917 წ. ქართველმა ერმა თავისი ეროვნული ყრილობის ხელით თავის პოლიტიკურ თავისუფლებას საფუძველი ჩაუყარა, რომელზედაც, უეჭველია, სულ მალე შვენიერს პოლიტიკურ შენობას ააშენებს.

აწ ქართველ ერს ეყოლება მოთავე, რომელმაც მისი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება უნდა მოაწყოს და მეზობელსა და შორეულ ერებსა და სახელმწიფოებს ქართველ ერის სახელით უნდა ელაპარაკოს.

აწ ქართველ ერს ეყოლება მისი პოლიტიკური ნების გამომთქმელი და წარმომადგენელი ორგანო—ეროვნული ყრილობის მიერ არჩეული ეროვნული საბჭო.

საქართველოს შვილნო! იცოდეთ, რომ საქართველოს ეროვნული საბჭო—საქართველოს უზენაესი პოლიტიკური თავია, რომლის ნებაც უნდა აასრულოს საქართველოს ყველა მოქალაქემ, ყველა მამულიშვილმა განურჩევლად ეროვნებისა და სოციალური მდგომარეობისა.

საქართველოს შვილნო! მომილოცავს საქართველოს პოლიტიკურად მკვდრეთით აღდგენა!

ვახტ. წერეთელი

პირველი დღე
(შთაბეჭდილებანი)

მთელი ქუჩა სახელმწიფო თეატრის წინ სავსეა მოზღვავებულ ხალხით. აქ არიან დელეგატები, საზოგადოება, რომელსაც აქვს თეატრში შესასვლელი ბილეთები და აურაცხელი ხალხი, რომელიც თეატრში ვერ შევა.

შესავალს იცავს მილიციონერთა რაზმი. თეატრის აივანზე გადმოკიდებულია საქართველოს ეროვნული დროშა, თეატრში შესვლა მეტად ძნელია. დელეგატებს და სტუმრებს ყრილობის ბოქაულები ხვდებიან კარებში. პარტერში მხოლოდ დელეგატებს უშვებენ. სტუმრები ლოჟებში და იარუსებზე სხდებიან. პარტერი თანდათან ივსება დელეგატებით. მარჯვენა ლოჟაში სხედან მათი უწმიდესობა კათალიკოსი კირიონი, თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე, ქუთათელი ანტონი და ოდიშისა ამბროსი სამღვდელოებით. ზემო მარცხენა ლოჟაში ამიერ-კავკასიის კომისარიატი, ქვევით—უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები. დელეგატები შემდეგის რიგით იკავებენ ადგილებს. მარცხნივ ნაციონალ დემოკრატები, შემდეგ ფედერალისტები და ს.-რევოლუციონერები. მარცხენა სექტორი სოციალ-დემოკრატებს უკავიათ. მახარაძე და ბოლშევიკები ამფითეატრში სხდებიან. თეატრის დარბაზი საზეიმო იერს იღებს. ფარდა იხდება. სცენაზე მაღალ კვარცხლბეკზე ისევ ეროვნული დროშა მოჩანს. ავანსცენაზე ინტერპარტიულ საბჭოს პრეზიდიუმია. მთელი თეატრი ფეხზე დგება და ოვაციას უმართავს. ოვაცია დიდხანს გრძელდება, პრეზიდიუმის წევრები ფეხზე სდგანან. უჩქდება ოვაცია და პრეზიდიუმის წევრები სხდებიან. ფეხზე რჩება მხოლოდ პრეზიდიუმის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი. სიჩუმის წუთია, საზეიმო პაუზა. დელეგატებმა და სტუმრებმა იციან, რომ აკაკი ჩხენკელი დაიწყებს ლაპარაკს და დაიწყება ისტორიული წუთი, ახალი ფურცელი საქართველოს ცხოვრებისა.

და ეს ახალი ფურცელი იწყება. ის იწყება ჩხენკელის სიტყვით, ლამაზი და ჭკვიანი სიტყვით, რომელშიაც თავშეკავებასთან ერთად, მრავალია გულის აღძგრული სიტყვები და რომელსაც პატრიოტულ სიმამაცესთან ერთად ეჩნევა ის საღმრთო გულისფრენა, რომელიც აუცილებელია ყოველ დიდ საქმისთვის.

ჩხენკელის სიტყვას აპლოდისმენტები და ოვაციები სდევენ. მთელი თეატრი გრგვინავს. მაგრამ არ არის არც ერთი წუთი თავდავიწყებისა. დელეგატებს და სტუმრებს ახსოვთ, რომ ეს ტაში ნაყიდია სისხლით ანდა ჯერ კიდევ საყიდელია უფრო მეტის ტანჯვით. ჩხენკელი სალამს უძღვნის ამიერ-კავკასიის კომისარიატს რომელსაც ყრილობა ტაშისკვრით ხვდება. ამ დროს სცენაზე ჩნდება კომისარიატის თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი, რომელსაც მთელი ყრილობა ოვაციას უმართავს.

ჩხენკელი ხელს იშვერს უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების ლოჟისკენ და მთელი თეატრი ოვაციას უმართავს წარმომადგენლებს. ტაშს და მაღალ ენტუზიაზმს იწვევს ჩხენკელი, როდესაც იგი ასახელებს ქართველ ჯარის სარდალს სტეფანე ახმეტელაშვილს. მთელი ხალხი ბრუნდება იქით, სადაც მოჩანს პატარა ქართული დროშა და სადაც იმყოფება ქართული სამხედრო უწყება. ლოჟაში ოფიცრები დგებიან. ისინი სდგანან ვით ქანდაკებანი, როგორც პარადზე, რომელთაც მათ არაოდეს არ გამოუცდიათ. და ამ ოფიცერთა შორის სდგება ისიც, ვისაც ეკუთვნის ტაში და ოვაცია. სტეფანე ახმეტელაშვილი მოწიწებით თავს იხრის ეროვნულ ყრილობის წინაშე.

ჩხენკელის სიტყვა ტაშით და ოვაციებით თავდება.

საქართველოს პირველი ეროვნული კრება გახსნილია, ინტერპარტიულ საბჭოს პრეზიდიუმი მიდის და მის ადგილს იკავებს ყრილობის პრეზიდიუმი ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ქართველი ერის ბელადი და ხალხის მამა ნოე ჟორდანია ფეხზე სდგას. იგი არ ჯდება, რადგანაც მის დანახვაზე მთელი თეატრი გრგვინავს. ისმის „ვაშა"—„გაუმარჯოს ჟორდანიას". თბილისის დიდ თეატრს, რომელსაც უნახავს დიდი კორიფეები ხელოვნებისა, არ უნახავს ასეთი ტაში. ხალხი წყნარდება ხანგრძლივი ოვაციის შემდეგ და ჟორდანია ამბობს თავის სიტყვას. იგი მადლობას უხდის თავის და პრეზიდიუმის სახელით ყრილობას დაწყების შესაფერ პოლიტიკურ სიტყვას ამბობს.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა იწყება.

ომი და ზავი

დეპეშები

აღმოსავლეთის ფრონტი.

რუსეთის ბანაკის ცნობა.

მოქმედი ლაშქარი. გიორგ. 10. რუმინეთის ფრონტზე ამ უკანასკნელ დღეებში ცეცხლი ჩანელდა. მაგრამ საჰაერო ზვერვა-კი გაძლიერდა. დღეს მტრის 50 მფრინავი შევნიშნეთ. მტერი ბოლშევიკურ პროკლამაციებს გვიყრიდა. კარპატებში თოვლი მოვიდა.

დახმარება ჩრდილოეთის ფრონტს

პეტროგრადი. გიორგობისთვის 12. ჩრდილოეთის ფრონტს თანდათან მეტ დახმარებას უჩენენ სურსათით. ამ უკანასკნელ თვეს 200 ვაგონი პური მოვიდა.

დასავლეთის ფრონტი

ინგლისის ბანაკის ცნობა.

სტოკჰოლმი. გიორგობისთვის 9 ლანკაშირის და ირლანდიის ჯარებმა გაარღვიეს მტრის პოზიციები, მაგრამ ბულკურ-ფონტენკრელდეს შუა ტყვედ მოჰყვნენ. ჩვენ რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე ზარბაზნები. რიცხვი ჯერ არ გამოგვირკვევია.

იტალიის ფრონტი

გერმანელთა შტაბის ცნობა

გიორგობ. 10. ფელტრეს სამხრეთ-აღმოსავლეთით საშინელი ყინვა და თოვლია. ჯარები გაცხარებული იბრძვიან. ჩვენმა პოლკებმა დასძლიეს მტრის მედგარი წინააღმდეგობა და ხელთ იგდეს მონტე პოზოლანი და მონტე პეურნე. ამასთანავე ხელთ ვიგდეთ პოლკის უფროსი, 60 ოფიცერი და 750 ჯარის კაცი.

გენ. ფაიოლი

გენერალ დიუბენის მაგიერ ფრანგების ჯართა მთავარსარდლად იტალიის ფრონტზე გენ. ფაიოლი დანიშნეს.

ბოლშევიკები ფრონტზე

ქ. მინსკი და მინსკის შტაბი ბოლშევიკების ხელშია, გადაყენებულმა მთავარსარდალმა გენერალმა ბალუევმა და შტაბის უფროსმა გენ. ვალტერმა პოლონელთა ლეგიონებს შეაფარეს თავი. ახალი მთავარსარდალი კამენშჩიკოვი ლენინის განკარგულებებს ასრულებს.

ზავის გარშემო

გერმანული პრესა

ანნემასი. ღვინობისთვის 31—გიორგობისთვის 13. „ფრანკფურტერ"-ს მიუღებლად მიაჩნია ის დემოკრატიული ზავი, რომლის შესახებაც საბჭოს პროკლამაცია ლაპარაკობს. „ფორვერტსი" სწერს, მსოფლიო ომის გათავება საყოველთაო სამოქალაქო ომით—უტოპიაა. ეს ომის გაგრძელებას უფრო მოასწავებს. პეტროგრადის მმართველებმა უნდა იცოდნენ, რომ ომის გასათავებლად მათ მიერ მიღებულ თეორიას არც ერთი ჯგუფი გერმანელ სოციალისტებისა არ მიიღებს. მსოფლიო ომის სამშობლოში გადატანას არავინ ფიქრობს.

გენ. დუხონინის აზრი

კიევი. გიორ. 10. სამხედრო საქმეთა მთავარი მდივანი პეტლიურა პირდაპირი მავთულით ესაუბრა გენერალ დუხონინს ზავის შესახებ. დუხონინმა განაცხადა: სამშობლოსათვის ამ ჟამად მართალია რომ აუცილებელია ამ საკითხის დასმა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დაშლილი და ხალხის მიერ მიუღებელ „სახალხო კომისრების საბჭო"-ს არ შეუძლიან ამ საერთაშორისო მიზნის განხორციელება, რადგან მასთან არავინ მოისურვებს მოლაპარაკების დაწყებას.

ზავის მოლაპარაკება

გიორგობისთვის 14 დვინსკში დაბრუნდნენ პრაპორშჩიკ კრილენკოს მიერ გერმანელთა მთავარსარდლებთან ზავზე მოსალაპარაკებლად გაგზავნილი პარლამენტიორები: პორუჩიკი შნეური, ექიმი სერგალოვიჩი და ვოლნო-ოპრედელიაუშჩი მერენი. პარლამენტიორები მოსკოვის ქვეითა პოლკის წინ თეთრი დროშებითა და საყვირებით გასულან. მათ გერმანული ოფიცრები შეხვდნენ. პარლამენტარები გერმანელთა ბატალიონის შტაბში თვალებახვეულნი მიუყვანიათ. პარლამენტიორები წარუდგინეს პრინც რუპრეხტის ერთ-ერთი დივიზიის უფროსს გენერალ ჰოფმეისტერს. პარლამენტიორების მოსვლის ამბავი უმაღლეს მთავარსარდალს აცნობეს, რომელმაც სათანადო განკარგულება მისცა ჰოფმეისტერს რუსეთის პარლამენტიორებთან ერთად შეიმუშაონ წესი მეომარ სახელმწიფოთა შეხვედრისა.

ბოლშევიკების დიქტატურა

პეტროგრადში

გენერალ დუხონინს

გიორგობისთვის 10 ს „ნოვ. ჟიზნ"-ში მოყვანილია მიწერილობა, რომელიც ახალმა მთავრობამ წარუდგინა უმაღლეს მთავარ სარდალ დუხონინს: „რუსეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით და სახალხო კომისრების საბჭოს დავალებით გითხოვთ თქვენ თანამდებობიდან, რადგან არ ემორჩილებით მთავრობის მოწერილობებს. წინადადებას გაძლევთ განაგრძოთ საქმე ვიდრე ბანაკში ახალი მთავარსარდალი გამოცხადდებოდეს. მთავარსარდლად დანიშნულია პრაპორშჩიკი კრილენკო.

ხელს აწერენ: **ლენინი, სტალინი, კრილენკო.**

სახელმწიფო ბანკში

სახელმწიფო ბანკში ბოლშევიკებმა მიიყვანეს აჯანყებული მოხელენი, გააღეს საწყობები, წაიღეს ოქრო და ქაღალდის ფული. წაღებულ ფულის რაოდენობა ჯერ არ გამოურკვევიათ.

ირ. წერეთელი

გიორგობისთვის 9-ში წერეთელს ქალაქის თავი შრეიდერი უნახულია და დიდხანს უსაუბრიათ. გიორგობისთვის 10-ს წერეთელი ერობათა და ქალაქების წარმომადგენელთა თათბირზე გამოცხადდა.

ტროცკის ბრძანება

ტროცკის გამოუცია ბრძანება, რომლითაც საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსამსახურენი თანამდებობიდან გადაყენებულ იქნებიან და პენსია მოესპობათ თუ გიორგობისთვის 13 ს სამუშაოდ არ გამოცხადდებოდნენ.

მინისტრების განთავისუფლება

გიორგობისთვის 12 „უტრო როსიი" სწერს: ამ დღეებში პეტრე-პავლეს ციხიდან განთავისუფლებენ კიშკინსა და ტერეშჩენკოს. შემდეგშიც ორ-ორ მინისტრს გამოუშვებენ.

5 მილიონი მანეთი სახალხო კომისრებს.

პეტროგრადი. გიორგობისთვის 18. გუშინ სახელმწიფო ბანკმა მოკლე-ვადიან სესხად 5 მილიონი მანეთი მისცა სახალხო კომისრების საბჭოს.

კერენსკის საძებნად.

ბოლშევიკური მთავრობა თავგამოდებით ეძებს კერენსკის. რევოლუციონურ კომიტეტს ცნობა მიუღია, კერენსკიმ ტერიოკში აგარაკი იყიდა იმის შემდეგ, რაც მან 35 მილიონი მანეთი გაიტაცაო.

ორშაბათს, გიორგობისთვის 6, ნაშუადღევს 4 ს., პუგაჩევის აგარაკში მივიდა ერთი მეზღვაური. აგარაკში ვინმე ლიუქსენბერგი დაჰხვედრია.

— ეს კერენსკის აგარაკია?

— არა, ეს პუგაჩევისაა.

— მაგრამ, კერენსკი ხომ აქ ცხოვრობს?

— არა, აქ მე ვცხოვრობ, ლიუქსენბერგი.

მეზღვაურს გაუჩხრეკია ყველა ოთახები, მაგრამ კერენსკი ვერ უპოვია.

საღამოს 7 ს. იმავე მეზღვაურს რამდენიმე შეიარაღებული რაზმი გაუყოლებია და ახლა სხვა და სხვა აგარაკში დაუწყიათ კერენსკის ძებნა. შეუსვლიათ ვინმე მორდობოვიჩის აგარაკში. მორდობოვიჩი წვერ-ულვაშ გაპარსული დახვედრიათ. ეს საკმაოდ მიუჩნევია კერენსკის ერთ-ერთ მძებნელთაგანს, უძგერია რევოლვერი და შეუყვირია:

— შენ კერენსკი ხარ?

— არა, მე მორდობოვიჩი ვარ...

როგორც გიორგობისთვის 12-ს „უტრო როსიი" დასძენს, კერენსკის მძებნელებს თან ყუმბარებიც ჰქონიათ.

შეთქმულება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ

პეტროგრადი. გიორგობისთვის 18. აღმოაჩინეს კონტრ-რევოლუციონური შეთქმულობა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ კადეტებისა და მემარჯვენე სოციალისტ-რევოლუციონერთა გამოჩენილ მოღვაწეების. შეთქმულება ჩაქრეს.

გენერალ ბარანოვსკის შეპყრობა

პეტროგრადი. გიორგობისთვის 18. შეიპყრეს და პეტრე-პავლეს ციხეში მოათავსეს გენერალი ბარანოვსკი. მასთან ერთად შეიპყრეს მე-16-ე დივიზიის უფროსი კოვალი.

სახელმწიფო ბანკში

პეტროგრადი. გიორგობისთვის 18. სახელმწიფო ბანკის ქაღალდის ფულის განყოფილებაში განახლდა მუშაობა. მოსამსახურენი საქმეს გულმოდგინედ ეკიდებიან.

ქართული რენესანსი

მეოცე საუკუნე საქართველოს ისტორიაში სამნიშვნელო ფურცლით დაიწყო:—ისახება ქართული რენესანსი. ამ მოვლენის „მტკიცება" ჯერჯერობით მეტად საძნელოა: ეხლახან მისი „შეგრძნობა" თუ შეიძლება მხოლოდ. გარნა, ისიც უნდა გვახსოვდეს ამავე დროს, რომ ასეთი მოვლენის ღრმა გრძნობა ხანდახან უფრო გულისხმიერია, ვიდრე მისი მშრალი მტკიცება.

მისტიური სიმბოლოა ქართული რენესანსის ჩასახვის წიწამურის ველია: ქართველმა მოჰკლა საქართველოს ძლიერი მხედარი,—ხოლო, სისხლით შეფერილს ხელს რომ დახედა, მკვლელმა საქართველოს სახე დაინახა. ილია ჭავჭავაძე მსხვერპლია, შეუცნობლად შეწირული საქართველოს საყოფელი სახის ხილვისათვის.

და მართლაც: მგონი, არასოდეს ისე მძაფრად არ უგრძვნია ქართველს საქართველო, როგორც ამ ტრაგიკულს წამს. რისამე უკანასკნელს წვეთამდე გრძნობა კი უდრის მის შეძლო სხეულის კვეთილობას. ქართველმა იგრძნო საქართველო—და ამ გრძნობიდან ისახება ქართული რენესანსი.

ხსენებული რენესანსი მეოცე საუკუნემ უნდა განამტკიცოს. ამ საუკუნეში საქართველო ან სრულიად მოისპობა, ან და აყვავდება მსოფლიურად. მოსალოდნელი უფრო მეორეა. ქართული რენესანსის წინააღმდეგ რამოდენიმე სიძნელე იმართება. საქართველოს ისტორიის საქმეა ჰძლიოს ეს სიძნელენი. ძლევისათვის მათი შეცნობაა საჭირო.

პირველი სიძნელე უფრო ანთროპოლოგიური ხასიათისაა. ცნობილია: არც ერთი ხალხი ერთი ეროვნული პლაზმით არ ჩამოსხმულა: ჯერ მრავალი სხვადასხვა ხალხოსნური თესლი—და შემდგომ—მათში გაბატონებული ბრძოლის მიერ წარმოშობილი ერთი პლაზმა—აი მარტივი ხაზი ხალხის ჩამოყალიბების. ბერძნები, ფრანგები, რუსები:—მაგალითები.

მეტად საინტერესოა ვიცოდეთ: საქართველოს ისტორიაში გვაქვს თუ არა ასეთი განსხვავება. მარტო ეჭვიც კი საპრობლემოთ ხდის ამ საკითხს. ჩვენ ვიცით მრავალი ეთნიური თესლი, რომელიც ორგანიულად შეედულა ვითომ საქართველოს ეროვნულს პლაზმას. ამას გვასწავლის საქართველოს ისტორია, მხოლოდ ძალზე გვაფიქრებს ეს „ვითომ".

და მართლაც: ხანდახან იჭვიც იბადება, როცა ფიქრი ამ სახის შედეგებს უვლის გარს. ჩვენში საშინელი სიმძაფრით თავსა ჰყოფს თემური პარტიკულიარიზმი: იმერელი, ქართლელი, კახელი, გურული, მეგრელი და სხვა—ერთი ხის შტოა ყოველი მათგანი. ეს ერთგვარი მრავალფეროვნებაა: მდიდარი სხვა-და-სხვაობა. მაგრამ მეორის მხრით ეს „სხვაობა" იმ ზომამდე მიდის ხანდახან, რომ უნებლიედ ფიქრი იბადება: შესაძლოა ისინი სხვა და სხვა ხის დგმას წარმოადგენდნენ, ნათესაურს რკალში მოქცეულს. ყოველს შემთხვევაში ჩვენში არსებული პარტიკულარიზმი დამაფიქრებელია მეტად.

მეორე სიძნელე სახელმწიფო ყალიბს ეხება.

ჩვენმა ისტორიამ არ იცის სასტიკი აბსოლუტიზმი. აბსოლუტიზმი, როგორც ერთი-ერთი ისტორიული საფეხური, აუცილებელიც არის და საჭიროც. ისტორიის ახსნა „ისტორიულობით" შეიძლება მხოლოდ. კულტურის ტრაგედიას სხვათა შორის, ისიც შეადგენს, რომ ისტორიის რომელიმე ხანაში მონობაც არის აუცილებელი და საჭირო. რაციონალიზმის სქემებით ისტორიის ახსნა ყოვლად შეუძლებელია. ჰეგელის დიადმა ფილოსოფიამ სასტიკად, ერთი ფილოსოფოსის თქმა რომ ვიხმაროთ, მთელი მსოფლიო ლოგიკურ სილლოგიზმში მოაქცია,—მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისტორიის ერთი ნაწილის ახსნაც ვერ შესძლო. რისთვის? მისთვის, რომ იდეათა სფეროში (თუ გინდ დიალექტიურად იხსნებოდეს უკანასკნელი), ყველაფერი დასრულებულია იმ თავითვე, როგორც მათემატიურს რკალში,—ისტორია კი თავის-თავად შემოქმედებაა, ზრდა, ვითარება. ეს სხვათა შორის. აქ უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ აბსოლიუტიზმი ისტორიაში აუცილებელიც არის და საჭირო: მრავალ სასტიკს მხარესთან ერთად მას აქვს ერთი მეტად მნიშვნელოვანი მხარე: იგი ჰქმნის ერთს მთლიან ფსიხიკას, სასტიკი ყალიბით ახუნებს ერის ნება-ყოფას.

ჰელლადის მაგალითი აქ მოსაყვანი არ არის, რადგან იგი მეცნიერებისათვის ჰამოცანაა ნამდვილი: ხალხთა შორის ძველი ბერძნები გენიალურ გამონაკლისს წარმოადგენენ.

საქართველოში,—ვიმეორებ,—სასტიკი აბსოლუტიზმი არ ყოფილა. ამ მოვლენამ ხელი შეუწყო ჩვენს ეროვნულ დაქსაქსულობას.

გარდა ამისა: არის კიდევ ერთი უცნაურობა ჩვენს ისტორიაში. დასავლეთს ევროპაში ფეოდალურს ნანგრევებზე იმართა აბსოლუტიზმი. ჩვენში კი ფეოდალური მიდრეკილებანი სუსტი აბსოლუტიზმის შემდგომ თანდათან ძლიერდებიან. რაც უნდა იყოს ამის მიზეზი, ეს მაინც ასეა. და მართალნი არიან ჩვენი მარქსისტები, როცა ამტკიცებენ, რომ საქართველოს ერთიანობა რუსების ხელმწიფების ქვეშ განმტკიცდა. გაერთიანება მონობით—ეს ხომ საშინელი უცნაურობაა!

ერთი სიტყვით, რომელი მხრითაც უნდა შევეხოთ ამ საკითხს, ერთი რამ ნათელყოფილია: პოლიტიკურს ცხოვრებაში ჩვენ ვერ შევქმენით მტკიცე და მძლავრი ხელმწიფება. ამან ხელი შეუწყო ჩვენი „ანარქიული" ბუნების განვითარებას.

მესამე სიძნელე „გავლენის" სფეროს ეკუთვნის. ჩვენმა ისტორიამ ხშირად იცის „სხვისი" გავლენა: მონგოლების შემოსევა, არაბ-სპარსული გავლენა, ბიზანტიური „შემორევა", რუსული „შემოსვლა". თავის თავად ცხადია, რომ ყოველი ერი გავლენას განიცდის. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ყოველს ჯანსაღ ერს შესწევს შემტევი ძალა, რომელიც ამ გავლენას უმკლავდება: ამ ბრძოლაში ყალიბდება ერის შემოქმედება.

ახლა ვიკითხოთ: ჰქონდა თუ არა საქართველოს მაგარი შემტევი ძალა? ეს საკითხიც ერთგვარი პრობლემაა. ჩემთვის პირადათ სინამდვილეა ის, რომ საქართველოს ჰქონდა შემტევი ძალა,—მხოლოდ ისეთი კი, რომელიც სურვილსა სტოვებს, რომ კიდევ მაგარი და მძლავრი ყოფილიყო იგი. გარდა ამისა: ჩვენთვის ისიც სინამდვილეა, რომ ეს შემტევი ძალა საქართველოში ყოველთვის არ ყოფილა მსხვილი და მედგარი. აქედან ერთი რამ გამომდინარეობს: ჩვენს კულტურას, ყოველს სფეროში, მრავალი „გავლენა" შედუღებული და გარდაქმნილი კი არ აქვს, არამედ მიკრული მეტ ხარისხად. ეს გავლენა—„მეტხორცი" მესამე სიძნელეა ქართული რენესანსის წინააღმდეგ ამართული.

ეს სამი სიძნელე, რომელიც უნდა სძლიოს ქართულმა რენესანსმა, ძლევა აქ მეტად საძნელოა. ქართული რენესანსის მონაწილე ორგანიული სხეულებით უნდა იგრძნოს საქართველო მის ისტორიულს დინებაში და მონახოს მისი ნამდვილი საყოფელი სახე. შემდგომ—შემოქმედი ხელმწიფებით უნდა გამოჰკვეთოს მან იგი სახე კულტურულს შემოქმედებაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შექმნის ქართული რენესანსი ნამდვილს სტილს. ეს კი მეტად საძნელოა. საგულისხმო მაგალითი. ივ. ჯავახიშვილი ერთს თავისს ლექციაში საბუთიანად ამტკიცებდა, რომ ქართულს არქიტექტურაში „ღანგობას" (აგებულობას) ჰქონდა დაჭერილი უმთავრესი ადგილი, „სამკაულს" კი არააუცილებელი. არქიტექტურა გადმოგვცემს მთელი ხალხის ნებისყოფას ამ მხრით მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ძველი ქართული ხუროთმოძღვარი განსაკუთრებულს ყურადღებას „ღანგობას" აქცევდა და არა „სამკაულს". თუ ჩვენს დღევანდელს კულტურულ შემოქმედებას ავიღებთ, დავინახავთ სრულიად საწინააღმდეგოს: თანამედროვე ქართველისათვის პირველ ყოვლისა „სამკაული" არსებობს და შემდგომ „ღანგობა". ავიღოთ ეხლანდელი ქართული ლექსი, ეს საუკეთესო გამოხატული ქართული კულტურის: აქ მრავალია „სამკაული" (რითმა, სახე, ფერი, ხმები), ხოლო სრულიად არ არის „ღანგობა" (ტანი ლექსის, სხეული, ფაქტურა). რომელია ჩვენი სულის საფარველი, პირველი თუ მეორე—ეს საკითხია. და სწორედ ქართველმა ხელოვანმა უნდა გამონახოს საქართველოს ნამდვილი სტილი.

ქართული რენესანსისათვის პირობები თანდათან უკეთესდება. დღეს თუ ხვალ—საქართველო განთავისუფლდება. ეს სინამდვილეა. იგი გაერთიანდება და გამთლიანდება. ამ შესაძლო სინამდვილესაც ვერავინ უარჰყოფს. ერთობილი და მთლიანი საქართველო მრავალს სიძნელეს გადალახავს. არც აქ გამტყუნდება წინასწარმეტყველება. მხოლოდ არის ერთი რამ ჩვენთვის აუცილებელი, რომელიც ყოველს წამს უნდა გვახსოვდეს. ჩვენ უფრო იმპულსის ხალხი ვართ, ვიდრე გრძნობის. გრძნობა კი, ნამდვილი, შეურყეველი, ღრმაა, სასტიკი, გრძნობა უკანასკნელს წვეთამდე,—აი რა არის ჩვენთვის თავი და თავი, განსაკუთრებით ახლა. ქართველმა უნდა იგრძნოს რაინდული შემოქმედებით საქართველო: მხოლოდ ამ შემთხვევაში აყვავდება ქართული რენესანსი. ასეთს გრძნობას, ხან და ხან მისტიურობამდე აყვანილს, ვერა სიძნელე ვერ გადაეღობება წინ: იგი ყოველს ზღუდეს გადალახავს. განსაკუთრებით ეს ჰმართებს ქართველ ხელოვანს: იგი თანვე რაინდიც უნდა იყოს სულიერი, რომ მთელი ქართველობა ამოწუროს მის ისტორიულობაში და გამოჰკვეთოს მისგან ნამდვილი ქართული სტილი.

გრ. რობაქიძე.

ქაღალდის ფული

ღვინობისთვის 25-დან—გიორგობისთვის 9-მდე ხელმწიფო ბანკს პეტროგრადში და პროვინციაში 610 მილიონზე მეტი ქაღალდის ფული გამოუცია სახმარებლად.

მთავრობის შექმნის საკითხი.

ახალი, სოციალისტურ მთავრობის შექმნის საკითხში ირაკლი წერეთელი შეუერთდა ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის იმ 11 წევრს, რომელნიც კომიტეტიდან გამოვიდნენ. ეს ჯგუფი წინააღმდეგია ახალ მთავრობაში ბოლშევიკების შესვლისა.

ზამთრის სასახლის გაძარცვა.

ლუნაჩარსკის ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტში განუცხადებია, რომ ბოლშევიკებს ამბოხების პირველ დღეებში ზამთრის სასახლიდან 2 მილიონ მანეთის ქონება გაუტაცნიათ.

მოლაპარაკება მთავრობის შესაქმნელად.

ჩერნოვის თავმჯდომარეობით ახალი მთავრობის შესაქმნელად მოლაპარაკება გრძელდება. სამხედრო მინისტრად უკრაინელს პეტლიურას ასახელებენ.

ჟურნალისტების პროტესტი

ჟურნალისტთა საზოგადოებამ თავის რეზოლუციაში აღნიშნა, რომ ბეჭდვითი სიტყვას არას დროს რუსეთში, ძველი რეჟიმის დროსაც კი, ისეთი შევიწროებანი არ უნახავს, როგორც ეხლა. საზოგადოებამ დაადგინა—არავითარი დამოკიდებულება არ იქონიოს ბოლშევიკების მთავრობასთან.

გადაყენებულ მთავრობის მოწოდება

პეტროგრადი. გიორგობისთვის 18. გადაყენებულ დროებით მთავრობის მოწოდებას აზრად ჰქონდა საშუალება მიეცინებინა მაკლაკოვისათვის, რომ პარიზის კონფერენციაზე მონაწილეობა მიეღო. მოწოდებით მთავრობა კანონიერად სცნობდა თავის თავს. ამით დუხონინის თანამდებობაზე ყოფნასაც აკანონებს.

მოსკოვში

უნივერსიტეტში სწავლის განახლება

მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორებმა ერთხმად დაადგინეს გიორგობისთვის 13-დან სწავლა განახლდეს უნივერსიტეტში.

გაზის მოწყობილებათა დაზიანება

სროლის დროს დაზიანებულა კერძო შენობის გასათბობად გამზადებულ გაზის მოწყობილებანი.

რიაბცევის შეპყრობა.

გიორგობისთვის 12-ის „ნოვაია ჟიზნ"-ი გადმოგვცემს: დღეს შეიპყრეს მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროსი რიაბცევი. მას გლეხურათ ჩაეცვა და მოსკოვიდან გაპარვა დაეპირებინა, მაგრამ სწორედ ამ დროს მიუსწრეს და შეიპყრეს.

„რესპუბლიკის" მეზღვაურნი.

მოსკოვში სამხედრო სარევოლუციო კომიტეტს ჯავშნოსან „რესპუბლიკას" 400 მეზღვაური გაუწვევია, მეზღვაურები ჩხრეკაში იღებენ მონაწილეობას.

პროვინციაში

პსკოვი

პსკოვი ამბოხების მოლოდინშია. პეტროგრადიდან ვიღაცას ერთი ვაგონი არაყი გამოუგზავნია. მეციხოვნენი დამთვრალან. ეშინიათ ძალადობისა.

დამფუძნებელ კრების არჩევნები

კალუგის გუბერნიაში

კალუგის გუბერნიის სამაზრო ქალაქებში გამარჯვება კადეტებს ხვდათ. გლეხობა ხმას სოციალისტ-რევოლუციონერებსა და ბოლშევიკებს აძლევდა. თვით კალუგაში კადეტებმა მიიღეს: 6 857 ხმა, სოციალისტ-რევოლუციონერებმა 3.621 ხმა, ბოლშევიკებმა 3.454, ხმა, მენშევიკებმა 2.321 ხმა.

იალტაში

იალტის თათრები იალტაში ყურადღებით მოეპყრნენ არჩევნებს. სოციალისტ-რევოლუციონერებმა მიიღეს 4 288 ხმა, კადეტებმა 3.520.

ბერდიანსკის მაზრაში

ბერდიანსკის მაზრაში არჩევნები გიორგობისთვის 21-სათვის გადაუტანიათ.

ხარბინში

არჩევნებში უპირატესობა მენშევიკებს ხვდათ,—შემდეგ მიდიან ბოლშევიკები, კადეტები და სოციალისტ-რევოლუციონერები.

ეკონომიური ცხოვრება

პეტროგრადის ქარხნები

სათბობ მასალის უქონლობის გამო უკვე მეორე კვირა მიდის რაც მოქმედება შეუწყვეტია ნევის გემთა სამშენებლო ქარხანამ. უმუშევრად 7000 კაცი დარჩა. ახლა გიორგობისთვის 12-ის „უტრო როსია" გადმოგვცემს: ამ დღეებში სათბობ მასალის უქონლობის გამო ობუხოვის ფოლადის ჩამომსხმელი და საზარბაზნო ქარხანა შეუწყვეტავს მოქმედებას. უმუშევრად 14 ათასი კაცი დარჩება. პუტილოვის ქარხანასაც ეს დღე მოელის.

რუსეთი და უცხოეთი

იაპონიისა და ამერიკის შეთანხმება

ტოკიო. გიორგობისთვის 7 გამოქვეყნდა ოფიციალი ცნობა იაპონია-ამერიკის შეთანხმების შესახებ. იმ ნოტაში, რომელიც დაერთო ხელშეკრულებას ვკითხულობთ: იაპონიისა და ამერიკის ფლოტები შეთანხმდნენ, რომ ერთად იმოქმედონ.

ჯარის გაყვანა ხარბინიდან

ხაბაროვსკი. გიორგობისთვის 6. ჩინელები დათანხმდნენ, ხარბინიდან ჯარს გავიყვანთო.

გერმანული პრესა ზავზე

საერთოდ გერმანული პრესა იმ აზრისაა, რომ გერმანია ჯერ-ჯერობით ყურადღება არ უნდა მიაქციოს ზავზე ლაპარაკს ვიდრე მდგომარეობა უფრო არ მომწიფდება. კონსერვატორული „ლოკალ ანცაიგერი" სწერს: ცენტრალ სახელმწიფოებმა გულდამშვიდებით უნდა ადევნონ თვალყური იტალიაში და რუსეთში დატრიალებულ ამბებს. ყოველ დღეს ჩვენთვის ახალი სარგებლობა მოაქვსო. „ბერლინერ ტაგებლატს" ეჭვი ეპარება, რომ ბოლშევიკებმა თავის საზავო პოლიტიკა ცხოვრებაში გაატარონ.

„ფოსიშე ცაიტუნგი" პირ-იქით დიდ იმედებს ამყარებს საზავო მოძრაობაზე რუსეთში, ეს მოძრაობა დაიწყო და მას ვერც ლენინი, ვერც კერენსკი და ვერც მილიუკოვი ვერ შეაჩერებენ და გერმანიის დიპლომატიაზეა დამოკიდებული ამ ზავის დაჩქარებაო.

უკანასკნელი დეპეშები

შეიპყრეს გენერალი ჩერემისოვი.

—

ტროცკიმ მებრძოლ ქვეყნების ერებს მიმართა: თანახმანი ხართ თუ არა რომ ერთად დაიწყოთ საზავო მოლაპარაკებაო.

—

კადეტები დამფუძნებელ კრებაში გაიყვანეს: მილიუკოვს, კუტლერს, ვინავერს და როდიჩევს, მათ კანდიდატებად—ნაბოკოვს და გრაფინია პანინას. ბოლშევიკებს გაჰყავთ: ლენინი, ზინოვიევი, ტროცკი, კამენევი და კოლონტაი. სოციალისტ-რევოლუციონერებს—ჩერნოვი და [illegible].

—

ქ. ბახჩისარაიში მოწვეულმა მაჰმადიანთა ყურულთაიმ ყირიმის ავტონომია გამოაცხადა. ყირიმში ისეთივე წესწყობილება იქნება, როგორიც შვეიცარიაშია.

—

ბაქოში ანტი-ბოლშევიკური გაფიცვა გრძელდება.

—

ქაღალდის ფულის დასამზადებელ სახელმწიფო ექსპედიციიდან 250,000 მანეთი დაიკარგა.

—

მოსკოვში წითელ - გვარდიელებმა ლუდის ქარხანა დაარბიეს. რაც დალიეს ლუდი დალიეს, რაც არა და სულ დაღვარეს.

—

ტროცკის უთქვამს, მოკავშირეებს არა ვთხოვთ ჩვენი მთავრობის აღიარებას, მხოლოდ რუსეთის შინაურ საქმეებში ნუ ერევიანო.

—

მე-10 ლაშქრის ფრონტზე დაძმობილება გაჩაღდა.

—

შვედეთი სამობილიზაციოთ ემზადება.

—

დაითხოვეს 1905 და 1906 წ.წ. გაწვეული მეზღვაურნი.

—

ბალტიის ზღვაზე დაიღუპა ნაღმოსანი „ბდიტელნი". 10 მეზღვაური-და გადარჩა.

—

ბოლშევიკებმა მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერებს მთავრობაში 6 ადგილი შესთავაზეს. სოც.-რევოლუციონერებმა მიწად-მოქმედების მინისტრი პოლეტაევი დაასახელეს. საგარეო მინისტრად პრივატ-დოცენტ პოკროვსკის კანდიდატურას ასახელებენ.

—

ტროცკის უთქვამს, ძალიან შესაძლებელია რუმინეთი სეპარატიული ზავით შეეკვრას გერმანიასო.

—

მოსკოვში ბოლშევიკებმა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი დაატუსაღეს.

—

საგარეო სამინისტროში შტრეიკბრეხერები მუშაობენ.

—

სარატოვში ბოლშევიკმა ექიმმა ლებედევმა მთელ გუბერნიაში ბრძანება დაგზავნა მისი გუბერნიის კომისრად დანიშვნის შესახებ. ბრძანებას გერმანულად და რუსულად აწერია: „გერმანიის საიმპერატორო საკონსულო".

—

მოსკოვის ქალაქის საბჭოში უკრაინის უნივერსალის განხილვის დროს სოციალისტებს შორის განხეთქილებამ იჩინა თავი.

—

ალექსანდრინის თეატრში ტოლსტოის „ცოცხალი ლეში"-ს—წარმოდგენის დროს, როცა მე-4 მოქმედებაში პოლიციელმა გამვლელ გენერალს სამხედრო სალამი მისცა, დარბაზში ტაშმა იგრიალა და პოლიციელს დიდი ოვაცია გაუმართეს.

გაზეთ „საქართველო"-ს რედაქცია და კონტორა ახალ ბინაზე გადავიდა სასახლის ქუჩა, № 5, თავად-აზნაურობის სახლი, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტთან. ტელეფონი იგივეა 15—73.

ქრონიკა

თბილისი

◆ **სოფლებში ჯარის დაბანაკების გამო.** დაბა სოფლებში დასაბანაკებლად გაგზავნილ ჯარს მცხოვრებლებმა უფასოდ უნდა დაუთმონ ბინები. ჯარის სამხედრო გამგეობის უფროსმა აზრი გამოთქვა, რომ ჯარის მიერ დაჭერილ ბინებში სამხედრო ფონდიდან ქირა უნდა მიეცეს ბინის პატრონებს.

◆ **შაქრის გაძვირება.** მომავალ ქრისტეშობისთვის პირველიდან გირვანქა შაქარი 1 მ. 50 კ. ეღირება სასურსათო კომიტეტს რამდენი შაქარიც აქვს ამ ჟამად, იმასაც მოემატება ფასი, რადგან კომიტეტი ვალდებულია, ორი კვირის განმავლობაში საქციზო კომიტეტს წარუდგინოს შაქრის ბეგრის სახით არა ნაკლები 1—06 კაპ. გირვანქაზე. შემდეგში სასურსათო კომიტეტებმა შაქარი უნდა მიიღონ საქციზო გამგეობისაგან, რადგან შაქარი სახელმწიფო მონოპოლიად გახდა.

◆ **უბნების სასურსათო კომიტეტებმა** განკარგულება მიიღეს, რომ პურის გასაცემი პუნქტები თითონვე მოაწყონ თავიანთ უბნებში. იმავე კომიტეტებმა უნდა მოაწყონ პურის გამოცხობის საქმე. მათ განკარგულებაში გადავა ის ფურნეები, რომელნიც პატრონებს ჩამოერთმევათ რეკვიზიციის წესით სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის. რამდენიმე ფურნე უკვე გადავიდა 1, მე-2, 3, 4, 5 და მე-10 კომიტეტების ხელში.

◆ **გუბერნიის სასურსათო გამგეობას** მოუვიდა გიორგობისთვის 19—20 ს, ფქვილი 5 ვაგ., ხორბალი 1 ვაგ., კარტოფილი 3 ვაგონი, ფართალი 1 ვაგონი, გუთნები 1 ვაგონი.

◆ **სურსათი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა შეიძინა 1000 ფუთი ხმელი ტარანი (თევზი) და ჰყიდის ყველა საქალაქო სასურსათო დუქნებში დროებითი სასურსათო ბარათებით გირვანქას 25 კაპ.

◆ **ნავთი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტის შუამდგომლობა შესახებ ნავთის გამოგზავნის დაჩქარებისა ევლახიდან და განჯიდან დაკმაყოფილებულ იქმნა რკინის გზის გამგეობის მიერ და ეხლა ნავთი ნაწილ-ნაწილ მოდის თბილისში.

◆ **სახალხო მასწავლებელთა გაფიცვა.** გიორგობისთვის 17 სახალხო სამინისტრო სკოლების მასწავლებელთა 11 წარმომადგენელმა ინახულეს ქალაქის თავი ნ. ელიავა და ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ეგ. გეგეჭკორი. დელეგაციამ ითხოვა: დახურული სკოლები ქალაქის ხელში გადავიდეს, მასწავლებლებს ერთდროულად მიეცეთ 300—500 მანეთი და ჯამაგირები 210 მანეთამდი აეყვანონ. დელეგაციას დაჰპირდნენ, რომ მასწავლებლებს რაც შეიძლება მალე დააკმაყოფილებენ.

◆ **მშობელთა წრე.** დღეს, გიორგობისთვის 21-ს, ქართულ გიმნაზიაში დანიშნულია მშობელთა წრის კრება, რომელმაც საბჭო უნდა აირჩიოს.

◆ **ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის** მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტმა თავის თავმჯდომარედ აირჩია დ. მ. დუმბაძე, მის ამხანაგებად ი. ფანცულაია და ბ. ცერცვაძე, მდივნად ბ. კაიშაური და ხაზინადრად ს. ყ. ქუნია.

◆ **ქართული წარმოდგენა.** ქართული კლუბი ხუთშაბათს 23 ნოემბერს ქართულ დრამას მიერ წარმოდგენილი იქმნება ახალი პიესა არამზადები.

◆ **ანჩისხატის ტაძრის კრებული** მოუწოდებს ამ ტაძრის მრევლს მობრძანდნენ გიორგობისთვის 21 დილის 11 საათზე ანჩისხატის ტაძარში მცხეთის საეპარქიო კრებაზე დასასწრებ დელეგატების ასარჩევად.

ქ. ახალქალაქი.

◆ **„სკოლის ნაციონალიზაცია".** (საკუთარი დეპეშა). სკოლების გაეროვნებას შეუდგნენ, მაგრამ ქართველებისათვის არავინ ზრუნავს. ქართველ მაჰმადიანთა ბავშვები სასწავლებლებიდან დაითხოვეს. მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია.

ქ. მარტყოფელი.

ქუთაისი.

◆ **ეროვნულ ყრილობაზე დელეგატებად** თავად-აზნაურობამ აირჩია: დ. ო. ნიჟარაძე, დ. ბ. კვარკველია, ი. თ. ცინცაძე, ზ. ქ. მაჭავარიანი, ს. გ. ყიფიანი, ს. ნ. ლორთქიფანიძე, გერ. ს. ბარათაშვილი და პ. ბ. ჯორჯიკია.

ექიმთა საზოგადოებამ აირჩია: შ. კოკოჩაშვილი. ქალთა საზოგადოებამ ქეთო იაკობის ასული ნიკოლაძე, „სინათლის" საზოგადოებამ ა. ლორთქიფანიძე ქართულ დრამატიულ საზოგადოებამ ა. ფაღავა და ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკმა ს. მიქელაძე და ი. ფანცხავა.

დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის კრებამ ეროვნულ ყრილობაზე დასასწრებლად აირჩია: არსენიძე, ა. წერეთელი, ვ. იმნაძე.

◆ **ქართველ ისრაელებმა** ეროვნულ ყრილობაზე დასასწრებლად აირჩიეს იოსებ და მიხეილ ხანანაშვილები.

◆ **შეშის საკითხი.** უშეშობით ქუთაისის საზოგადოება დიდ გასაჭირს განიცდის. შეშა სულ აღარ შემოდის. სასურსათო კომიტეტმა თვით დაამზადა და [illegible] ვაგონებზე ხუთები, რომ შეშა შემოეზიდათ, მაგრამ რკინის გზის მართველობა კიდევ არ უთმობს ადგილს.

◆ **თავდასხმა.** ღამით გიორგობისთვის 15 ლიანდანსკის კირის ქარხნის კანტორის გამგეს ვლადიმერ გრიგოლის ძე შენგელიას თავს დაესხნენ ბოროტ-განზრახველები. წაართვეს 10,000 მანეთი და სასიკვდილოდ დასჭრეს.

◆ **ეროვნულ ყრილობის დელეგატები.** (საკუთარი დეპეშა). ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოებამ საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე დასასწრებლად აირჩია ნიკო ნიკოლაძე და ბართლომე მოსეშვილი.

ქ. ზესტაფონი

◆ **ვაჭართა კავშირი.** როგორც ქ. ზესტაფონიდან გვატყობინებენ, იქ დაარსებულა ვაჭარ-მრეწველთა და ხელოსანთა კავშირი. არჩეულ იქმნა კავშირის გამგეობა და სარევიზიო კომისია.

ქ. ახალსენაკი.

◆ **სათესლე ხორბლის უქონლობა.** მაზრაში სიმინდის ფასმა უკვე დაიკლო. გლეხები თხოულობენ მიაწოდონ სათესლე პურის ხორბალი.

დამფუძნებელ კრების არჩევნები

თბილისში.

◆ თბილისის საარჩევნო კომისიამ დაამთავრა ბიულეტენების შემოწმება, საბოლოოდ გამოირკვა, რომ № 1-ლი მიიღო 23.182, № 2 ეს 9628, № 3-ს 11.551, № 4-ს 20.183, № 5 ს 19.527, № 6-ს 3.510, № 7-ს 1.617, № 8-ას 3.287, № 9-ს 262, № 10-ს 344, № 11-ს 426, № 12-ს 445, № 13-ს 4, № 14-ს 2, № 15-ს 764 და № 16-ს 45, (უკანასკნელი ხმები გაუქმებულია საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილებით).

გორი.

◆ **არჩევნების შედეგი** დასრულდა. ამოუვიდათ: № 1-ს 2,064, № 2—99, № 3 - 580, № 4—820, № 5—413, № 6—475, № 7—48, № 8—487 და № 15—31.

ქ. ფოთი.

◆ **არჩევნების შედეგი.** (საკუთარი დეპეშა). მენშევიკ სოციალდემოკრატებმა მიიღეს 2600 ხმა, კადეტებმა—40, ესერებმა—505, დაშნაკელებმა—100, ბოლშევიკებმა—108, ფედერალისტებმა—386, ეროვნულ-დემოკრატებმა—372, სიონისტებმა—19. ეს ცნობები საბოლოოდ ჯერ არ არის შემოწმებული და ზოგი საეჭვოა.

ქ. ახალ-სენაკი.

◆ **არჩევნების შედეგი.** (საკუთარი დეპეშა). დამფუძნებელ კრების არჩევნებში სოციალდემოკრატებმა მიიღეს 600-მდე ხმა, ეროვნულ დემოკრატებმა მიიღეს 400 მდე ხმა, ფედერალისტებმა—96 ხმა. სხვა სიების სასარგებლოდ მცირედ აძლევდნენ ხმებს. სოფლებში სოციალდემოკრატები ძალადობას მიმართავენ და მათს უკანონობას ჰქონდა ადგილი.

ქუთაისი

◆ **ძალდატანება არჩევნებში.** სოფ. გოდოგანიდან (კოლნარის საზოგადოება). სოც. დემოკრატები სათითაოდ იბარებენ მცხოვრებლებს კარებ დახურულ ეკლესიაში და ძალდატანებით აგდებინებენ კენჭებს თავის სასარგებლოდ. სხვა პარტიების წარმომადგენლებს ყუთთან არ უშვებენ.

◆ **არჩევნები სოფლად.** სოფლებიდან ყოველდღე ჩამოდიან გლეხები და გადმოგვცემენ, თუ რა პირობებში ხდება არჩევნები. ბევრ სოფელში ძალდატანება ყოფილა. ადგილობრივი მთავრობა ძალით აჩეჩებს ხელში გლეხებს იმ სიებს, რომელსაც თვითონ სცემს ააყვანს. გლეხებში ცუდი განწყობილებაა. უმთავრესად თხოულობენ ჩვენი პარტიის სიას № 8-ს.

◆ **ჯარის ჩამოსვლა.** ჩამოვიდა ქართულ მსროლელთა პოლკის ორი ბათალიონი.

ფასანაური.

◆ **ძალადობა არჩევნებში** (საკუთარი დეპეშა). კუთხეში არჩევნები უკანონოდ სწარმოებს. საარჩევნო ყუთებთან სრულიად გარეშე პირები დგანან. ამომრჩევლებს თავმჯდომარეები ძალით ართმევენ კონვერტებს და თუ პირველი ნომერი სია არ აღმოაჩნდა, პირდაპირ ჰხევენ.

თელავი

◆ **საარჩევნო კომისიის დელეგატის ცემა.** თელავის მაზრის სოფლებში, ბევრგან უწესობას და ძალადობას ჰქონდა ადგილი სოც.-დემოკ. მხრივ. მაგალითად სოფ. შაშიანში თელავიდან საარჩევნო კომისიის მიერ გაგზავნილი, ნ. ღუდუშაური, კანცელარიის ბინიდან, სადაც არჩევნები სწარმოებდა, ძირს გადმოაგდეს, უცემიათ და შემდეგ კიდევ მოკვლა დაუპირებიათ, მხოლოდ იმიტომ, რომ არჩევნების უწესოდ წარმოება შეუმჩნევია და უცდია მის გასწორება, რის გამოც კინაღამ თვით გასამართლების მსხვერპლი გამხდარა. მაგრამ დროზე მოუსწრეს სოფლის რამდენიმე შეგნებულმა პირმა და კომისრებმა, რომელთაც ძალით გამოჰგლიჯეს გამხეცებულ გლეხებს ხელიდან და სიკვდილს გადაარჩინეს.

სტატსკი სოვეტნიკი ნიკოლოზ ბადეიჩ ბადაევი როგორ შეიცვალა მოქალაქე ნიკო ბადურ ძე ბადურაშვილად

ნიკომ ჩინებულად დაასრულა თბილისის სემინარია, სახელმწიფო ხარჯით წავიდა კიევის აკადემიაში და იქაც თავი ისახელა. სანაქებო დისერტაცია დაწერა: „ვახტანგ მეფის გადასახლება რუსეთში", რომლისათვისაც მაგისტრობა მიიღო და თუცა შორეულ გუბერნიაში, მაგრამ ინსპექტორად დაინიშნა.

წასვლის დროს, როდესაც თავის პირდაპირ უფროსთან გამოცხადდა მადლობის სათქმელად ამ გვარის წყალობისათვის, უფროსმა ტკბილად, ზრდილობიანად მიიღო და შემდეგი შესხმა და დარიგება მიუძღვნა: შენი მონოგრაფია ჩინებული გამოდგა. ისტორიული ფაქტების სიმრავლე, გულწრფელი და გონიერული მოსაზრებანი იმ ფაქტების შესახებ შესანიშნავია, ლიტერატურული ფორმა თხზულებისა მშვენიერი, მაგრამ ეს დაკვირვება, ეს ენერგია შრომაში, ეს დოკუმენტების სამართლიანი განხილვა რომ მოეხმარებინა რუსეთის ისტორიის რომელიმე გამოურკვეველ ეპიზოდისათვის, მაშინ, მაშინ შენი სახელი ჩაიწერებოდა თვით ისტორიაში! პატარა საქართველოს პატარა მეფის ავბედითი [illegible] რაში [illegible] ინტერესებსო?

და თუ აკადემიამ მაინც დაგაჯილდოვა, მხოლოდ იმიტომ რომ შენში სცნო დაკვირვებული მკვლევარი და ნიჭით სავსე ახალგაზდა.

იმედია სამსახურის დროსაც იპოვნი დროს მეცნიერებისთვის და მომავალ შენ შრომას უფრო ფართე გზას უპოვნი და დაიმსახურებ დიდი რუსეთის ყურადღებას, რუსეთის ყურადღებას! ხომ გესმის რა არის რუსეთის ყურადღება? დიდი რუსეთის ყურადღებას!!

ეს უნდა იყვეს შენი ბედნიერების აუცილებელი მიზანი და [illegible] ჩემი ჩაგონებით იხელმძღვანელო.

სამშობლოს სიყვარული კარგია, მაგრამ შენი სამშობლო განა ახლა რუსეთი არ არის? საქართველო გაქრა, გადნა და დიდ რუსეთის ცხოვრების ტალღებს შეუერთდა და ყოველი ცდა ამისა პირობების აღდგენისა მიუწდომელი ილიუზიაა...

ასეა, ყველა პატარა ერების ხვედრი. ისინი პატარა ნაკადულებივით დიდს მდინარეს შეერთვიან და მასთან ერთად იწყებენ ბედნიერ და ვრცელ ცხოვრებას!

ნიკო ენთო, თვალებში ნაპერწკლებმა გაურბინეს, გულმა რაკრაკი დაუწყო და ყმაწვილურის გატაცებით უნდა შეჰბმოდა უფროსს, უნდა დაემტკიცებინა იმისთვის წინააღმდეგი, მაგრამ უფროსმა თავზედ ხელი დაადო მამაშვილურად და წაუტუტუნა: მე მომწონხარ, მომწონს შენი [illegible] თავის გამოდგება სამშობლოსთვის, მაგრამ გირჩევ ჩემ დარიგებას აჰყვე. დიდ ხომალდს დიდი ზღვა უნდა საცურაოდ და შენ დიდი [illegible], თუ დიდ რუსეთს მიახმარებ შენ დიდ ნიჭს.

პირველი ნაბიჯი შენი სამსახურისა ბრწყინვალეთ იწყება, ჯერ მხოლოდ ოცდა ხუთის წლის ბიჭი ინსპექტორად ინიშნები და ოცის წლის შემდეგ იცი რა იქნები?

— ოჰ, ოცის წლის შემდეგ! მე კი იმედი მქონდა რომ სამი ოთხი წლის შემდეგ ჩემ ქვეყანაში გადმომიყვანდით, უამისოთ მე სამსახურს ხელსაც არ მოვკიდებდი, ძლივ-ძლივობით შეაწყვეტინა ნიკომ უფროსის დაუმთავრებელი ჩაგონებანი და კვლავ უნდოდა ნაჩალნიკის თეორია დიდ და პატარა მდინარეების შესახებ დაერღვია, მაგრამ უფროსმა ხმა არ ამოაღებინა.

— შეიძლება, შეიძლება გადაგიყვანე! მხოლოდ გირჩევ ჯერ აქ დაიმსახურო სახელი და დიდება! და ამ სიტყვებთან მოსპო უფროსმა ყმაწვილ კაცთან ლაპარაკი.

ნიკო ბადურაშვილი, რომელიც ჯერ ისევ სემინარიაში და აკადემიაში გადანათლეს ბადაევათ, მართლაც ნიჭიერი ყმაწვილი იყო და ამის დისერტაციაც გაცილებით უკეთ იყო დაწერილი, სხვა სამოც იმის ამხანაგების ნაწერებზედ, მაგრამ თავის თავად დიდს არაფერს წარმოადგენდა და თუ უფროსმა ასე გაზვიადა და შეაქო, მხოლოდ იმისათვის, რომ ნიკოს გულში აღეძრა წარჩინების სურვილი და სამშობლოს სიყვარული და იქით ლტოლვილება, დაპირებულის აღმატებით დეეჩრდილა, გაენელებინა.

ნიკო ახალ ალაგას დიდის გულმოდგინებით შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას. ახალგაზრდურის გატაცებით უკითხავდა ლექციებს მოწაფეებს, მეტადრე უფროს კლასებში და უფრო კი აღტაცებით ებაასებოდა იმათ რუსეთის აწყო პოლიტიკურ წყობილების უვარგისობაზე, რომლის შეცვლას, ან შეცვლისთვის გამოსვლას ყოველი რუსი-ახალგაზრდისათვის მოვალეობათ სთვლიდა. მოწაფენი გულდასმით უსმენდნენ, სჯეროდათ იმის წრფელი სიტყვა, ჰგრძნობდნენ იმის სიმართლეს, თანხმდებოდნენ, სწყრდნენ, ბაასობდნენ, რასაკვირველია, სემინარიის გარეშეც ჰქონდათ თავისი ახალი რწმენა და იდეალი...

ნიკოს თავისუფალ აზრთა გამოთქმის მოკლე მუხრუჭი მოუჭირეს და დიდის ნატაცებისა და დატუქსვის შემდეგ, წლის დამლევს გადიყვანეს სხვა სემინარიაში და წარჩინების მაგივრად, რომელსაც მოელოდა, ინსპექტორობაც ჩამოართვეს და მხოლოდ ისტორიის მასწავლებლობა შეარჩინეს.

(დასასრული იქნება)

ეკ. გაბაშვილი.

მოწინავე რაზმი

სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?
ოსბ.

(შემდეგი*)

მონგოლებმა აიკლეს, გადამწვარი აოხრებული ქვეყანა, მარტო ლანდ-

---

*) იხ. „საქართ." № 254.

თემურ-ლენგ შემდეგ-ზის ცეცხლითა და მახვილით გადაჭრელა საქართველო, მაგრამ, ვით ზღაპრული ფენიქსი, ქვეყანა კვლავ განახლდებოდა ხოლმე და კვლავ შეუდგებოდა აღორძინებას, და საკვირველი ის არის, რომ თან დახმარებას ხელს აწვდიდა უნუგეშო ოსებს, სომხებს და ჩვენს ქვეყანაში შემოხიზნულ ბერძნებს, მთიულებს.

შემდეგ კვლავ გაძლიერდნენ ოსმალნი, დაიპყრეს კონსტანტინოპოლი, ტრაპიზონი (1461 წ.), მოაწყვეს ტაოკლარჯეთ—ჯავახეთს.

კვლავ აღორძინდა სპარსეთა ხელმწიფობაც, რომელმაც დაუწყო კირთება ამერეთს. ამით საქართველოს მოუსპეს ლეკებიც, რომელნიც მანამდე მეგობრობდნენ ქართველებს.

გაიმართა უთანასწორო სასტიკი ბრძოლა. ოსმალეთმა მოიკიდა ფეხი დიდებულ მესხეთში და გაამაჰმადიანა, მთელს იმერეთსაც დააკისრა თავისი მფლობელობა. ამერეთს მოედვნენ სპარსნი, დასტყვნეს მრავალი, 100,000-ზე მეტი გადაასახლეს, გაავერანეს ხრამბერდუჯ-ხუნანი, თრიალეთი, საინგილო და სხ. ვერც კი იკმარეს, ქართველთა ჯარი წაიმხედრეს ინდოეთის დიდის მოგოლის დასამხობად, აგრეთვე საბრძოლველ ოსმალებთან, ავღანელებთან და სხ.

ამ უმწეო ყოფაში საქართველო კვლავ დაიწვა, დაშლა. გაჩნდა სამეფოები (სამი), სამთავროები (ცხრა). აღარ იყო მტკიცე ბაგრატი, რომ მოეღო ქვეყნისათვის, ამოეწყვიტა უსუფური „მეფეები" და „მეფეთ-მეფეები", შეეკრიბა ყველა ძალები და უმაღლესი პატივი მოეპოვებინა მამულისათვის.

ბაგრატის მაგიერ აქ უფლობდნენ კაცები, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ პოლიტიკურ შორსმხედველობას, ჩაფლობილნი იყვნენ წამსა და წუთს მაუწყებლად ჩვეულებითის დღეს, ოღონდ ჯერი აღმოჩენილიყო ჩემდა მებრძოლ მტერზე, ლეკზე, დაგემონებიო, იმანაც გაინტყა ქვეყანა, გაიცნო მისი სიკეთეც, სიძლიერე, და უძლურებაც ჩვენი.

დასრულდა პოლიტიკური თავისუფლება 1801 წელს, თან მოისპნენ ყმობა-ბატონობის მოხოვნელი მეფე-მთავრები და გავრდაინდა საქართველოც და საერთო ძალით იყო ღონემინდება, წინ-სვლა მეტგზად, ნაყოფიერად.

საქართველოსთან ერთად ასე ცოტა ბევრი სასტიკი ასპარეზზე გამოსულ ხალხებისაგან ზოგი ადრევე გაქრა-წაიხდა მთიანეთ, მაგ. ფარაონების იმპერია, ბაბილონი, ფინიკია, კართაგენი, მიდია, ლიდია, პართია, ზოგი მათგნიდამ მპყრობელობის ხარისხიდამ ძირს დაეცა და სხვებს ეყმო, ვით ასურელები, ბერძნები, რომაელები, არაბები, მონგოლები. დარჩა მხოლოდ სპარსეთი, მაგრამ ამანაც, ვიდრე მოასწვევდა თავის დღევანდელ უნუგეშო ყოფამდე, მრავალ საუკუნოებით და მრავალჯერ იმწვნია ყმობის უღელი მაკედონელ—რომაელებისა, არაბებისა, სელჩუკებისა, მონგოლებისა, ავღანებისა.

გაითვალისწინებს-რა ყველა ამას მკვლევარი, უნებლიედ აძლევს თავის თავს კითხვას, რამ გააძლებინა საქართველოს ეთვით-არსებით ცხოვრებით ვიდრე მე-XIX საუკუნის კარამდე?

ჩვენ ამას ვხსნით არც იმით, რომ ქართველებმა ფარნავაზის უწინარეს დროებშივე შეიძინეს საკუთარი ანბანი და საუკუნეთა განმავლობაში აღყვავეს მწერლობა: ღვთისმეტყველება, მარტიროლოგია, ისტორიოგრაფია, პოეზია, საკურნალო და საფილოსოფიო მეცნიერება, ლექსიკოგრაფია, ხელოვნება და ხუროთმოძღვრება განავითარეს უდიდესსაზომად, შეიმუშავეს თვისი კანონები, ფული, იარაღი.

არც იმით, რომ ჰქონდათ საერთო ენა, საერთო სჯული, ზნე-ჩვეულება, რომელნიც ამ ერს განსაცდელის ხანაში ისევ შინაგნულად შეჰკრავდა ხოლმე.

არც უსაზღვრო სიყვარული სამშობლოს ადგილობრივობისა.

არა ყველა ეს, რამეთუ ბევრ დამხობილ ასე ღვაწლმოსილ ერებს, მეტადრე ძველ ბერძნებს, ჩვენზე მეტი ჰქონდათ ღვაწლიც მხატვრული ხელოვნებაც, ჩუქურთმა-ქანდაკებაც, არა ნაკლები საერთო ენაც, სჯულიც, მამულიშვილობაც, საზღვრების მიუდგომლობაც მტრის ზღვით, მაგრამ ყველა ამან და ამისმსგავსმა უკეთეს გარემოებებში ცხოვრების ასაყვავებლად მათი თავისუფლება ვერ იხსნა განსაცდელისაგან.

რაღა თქმა უნდა, ჩვენ უვარს არ ვყოფთ ერთგვარ მამულიშვილურ ქვეყნის წყალობის მთოველ ცის სიტკბოლის შედეგს მნიშვნელობას თვით არსებობისათვის ბრძოლის საქმეში, არც ტეხნიკის და, საზოგადოდ, ერის მთელ კულტურულ შემქნილობის აუცილებელ საჭიროებას გამარჯვების მოსაპოვებლად, არც თვით ერის პირისსიმტკიცეს, რაინდულ ახოვნებას, დიდსულოვნებას, დამარცხების დროსაც-კი გმირულ შეუდრეკელობას. მაგრამ ყველა ეს, ვიმეორებთ, ვერ იმაგრებს ერის თავისუფლებას, ყველა ამით შემკულ ერსაც ხშირად ამობს რომელიმე მათი მეტოქე.

კვლავ ვკითხულობთ, თუ არ ეს სათნოებანი, მაშ რამ გააძლებინა საქართველოს ეგრე დიდხანს, რამ ჰქონ შესაძლებელი მისი მრავალ-ჟამიერობა? მაგ სათნოებებმა, პასუხს ვიძლევით ჩვენ, ერთად ქართველობის უმანდლო დევიზისა:

იცხოვრე, მაცხოვრე,
გაცხოვრებ, მაცხოვრე.

ეს წითელ ძაფად გადის ქართველთა ისტორიის მთელს თვალუწვდენელ სიგრძეზე. 539 წელს ლაზ-კოლხთა ელჩები ეუბნებოდნენ ყაენს:

> „მას კიდევ არ დაეკლება სამართლიანი, ვინც თავისთავად სხვას არ აწუხებს, თუ ამასთანავე იგი არ იცავს, როცა-კი შეუძლიან, სხვათაგან შეწუხებულს".

მართლაც, ესეთი შემწყნარებელი თვისებისა იყო საქართველო. თვით უზენაეს სიძლიერის დროსაც-კი მისი ბრწყინვალე დედოფალი იფიქლებოდა ლმობად და სასწორად მიხლობილ ერთა შორის და ვერ ითმენდა, რომ ერთ ერს დაეჩაგრა მეორე. მართალია, ქართველი მეფეები ხშირად ეომებოდნენ მტრებს, მაგრამ ეომებოდნენ მოსულებს ან ულმობელ მძარცველებს, რომელთა მონობიდამ გამოხსნას იხვეწებოდნენ მეზობელი ერები.

მ. ჯანაშვილი.

(დასასრული იქნება)

ანგარიში

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოქმედებისა 1916 წელს.

(წელიწადი მე-X)

(დასასრული)

III. მუზეუმი, წიგნთსაცავი და საწყობი.

როგორც წინად, ისე მიმდინარე წელსაც საზოგადოების მუზეუმ-წიგნთსაცავი თანდათან მდიდრდებოდა საარქეოლოგიო-საეთნოგრაფიო ნივთებითა და წიგნებით.

ა) საზოგადოების მუზეუმში იყო:

1. საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთი წლის დამდეგს . .	2232, წლის დამლევს	22339,
2. ქვისეულები . . .	528, „	548,
3. საისტორიო და საეთნოგრაფიო მხატვრობა . . .	600, „	643,
4. საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ალბომები . . .	105, „	110,
5. ქანდაკები . . .	59, „	62,
6. ძველი ფულები . . .	9461, „	10199,
7. [illegible] . . .	109, „	120,

ბ) წიგნთსაცავში იყო

1. ხელნაწერი წიგნი წლის დამდეგს 1196 ცალი, წლის დამლევს 1335 ც.

2. ნაბეჭდი წიგნი: ა) ქართული—წლის დამდეგს 897 ც., წლის დამლევს—1342 ც.; ბ) არაქართული—წლის დამდეგს 6570 ც., წლის დამლევს—7407 ც; სულ ნაბეჭდი წიგნი 8749 ცალი.

3. სიგელ-გუჯრები და სხვა საბუთები წლის დამდეგს 8000 ც., წლის დამლევს—8025 ც.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების წიგნთსაცავს საანგარიშო წელს ძვირფასი საისტორიო და საარქეოლოგიო, განსაკუთრებით ხელოვნების დარგიდან, წიგნები შემოსწირა ოდესის უნივერსიტეტის პრ.-დოცენტმა სვიმონ ავალიანმა (ჟურნალი № 146). მუზეუმისათვის განზრახული იყო ფოტოგრაფ ერმაკოვის ძვირფასი და მდიდარი კოლლექციის შეძენა, რისთვისაც საჭირო თანხაც გამოძებნილ იქმნა, მაგრამ საზოგადოებისაგან დამოუკიდებელის მიზეზისა გამო კოლლექციის შეძენა ვერ მოხერხდა (ჟურნალები №№ 139 და 146; საზოგადო კრების ოქმი № 120).

გ) საზოგადოების საწყობში საანგარიშო წლის დამლევს იყო:

1.	„ძველი საქართველო"	ტ. I	94
	„ „	„ II	657
	„ „	„ III	754
	„ „	„ IV	797
2.	„საქართვ. სიძველ."	ტ. II	364
	„ „	„ III	447
3.	„ძველი ქართული მწერლობა" („შაჰ-ნამეს" ვერსიები)	ტ. I	1152
4.	„თიმსარიანი"		386
5.	„ათაბაგნი ბექა და აღბუღა"		15
6.	„ისტორია კათოლიკობისა საქართველოში" მ. თამარაშვილისა		54
7.	„პასუხად სომხის მწერლებს" მისივე		127
8.	„არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნ." ე. თაყაიშვილისა		101
9.	„საისტორიო მასალანი" მისივე		80
10.	„რამოდენიმე დაუბეჭდავი ლექსი აკაკისა"		918

ამათ გარდა საწყობში იყო კიდევ საბა-სულხან ორბელიანის სურათების 75 ცალი.

კორესპონდენცია

ზემო იმერეთიდან

დ. ძირულა. ამ პატარა დაბაზე ბევრი რამ დაწერილა გაზეთებში. სიკეთესთან ერთად, ულმობელი ძირულის ნაკლულევანებათა შესახებაც, მაგალითად, სამკითხველოს უვარგისობაზე მის სიღარიბეზე და სხვა. რა თქმა უნდა, უნაკლულო არა არის რა, მაგრამ პროვინციის კვალობაზე აქ ყოველისფერი რიგზეა. აქ ლითი იგივე სამკითხველო. იგი დაარსებულია 1905 წლიდან. მთელს ამ ხნის განმავლობაში იგი ებრძოდა სიღარიბეს და დღეს სათანადო ნიადაგზე დააყენა თავისი თავი. მთელი ოთხი კონტად და კოპწიად არის მორთული, მას მოსდის ყოველნაირი ჟურნალ-გაზეთები, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია სამკითხველოს გამგეობა, განსაკუთრებით კი ბ. დავით ახარსაძე, რომელმაც შესწირა თავის გარდაცვალებულ ძმის დიანოზის სახელზე ქართული წიგნები და მზრუნველობა გაუწია.

ასევე ბევრი რამ დაწერილა აქაურ სამრეკლო სკოლის უვარგისობაზე, მაგრამ უნდა მოვახსენოთ, არც ეს არის სიმართლე, თუმცა წინად სკოლაში სწავლის საქმე ვერ იყო რიგიანად დაყენებული ძველი მასწავლებლების ხელში, მაგრამ დღეს მანე და დაულალავ ქ. ნატალია სუხიაშვილის ახალის მეთაურობით ჯერ ჯერობით კარგად მიდის. სკოლას აქვს საკუთარი მშვენიერი შენობა, რომლისთვის დიდი ღვაწლი მიუძღვის ბ-ნ მეთოდე ქათამაძეს, ამავე პირის წყალობით განზრახულია სხვა საწვრთნელების დაარსება და თუ ეს ასე იქნა, უნდა მოველოდეთ, რომ ეს დაბა სხვა დაბებს არ ჩამორჩება სწავლა განათლების საქმეში.

აქაური კოპერატიული დუქანიც კარგად მუშაობს: მას მოსდის ყოველივე სანოვაგე და ხალხს დიდს დახმარებას უწევს ყოველივე გასაჭირში.

სხვაფრივ ძირულაში ჩვეულებრივია ცხოვრება, როგორც სხვაგან.

დემაგოგიამ აქაც ჩაიდგა თავი. სოც.-დემოკრატების აგიტატორები დადიან უბან-უბან და სხვა პარტიის წევრებს არ უშვებენ, რომ თავიანთი მოძღვრება ხალხს უქადაგონ. სხვათა შორის ერთი აქაური პროპაგანდისტი ხალხში ამას ავრცელებს, „თუ ვინმემ გაბედა ეროვნულ-დემოკრატიის წევრად ჩაეწერა, ჩვენი ს.-დემოკრატები ტერორს დაუწყობენ". ამნაირი დემაგოგია, თქმა არ უნდა ჩირქს სცხებს სოც.-დემოკრატებს. კარგი იქნება,რომ თუ პარტია არა, აქაური საზოგადოება მაინც არ მისცემდეს ამ ვიგინდარებს ასე თავისუფლად ინავარდონ.

ა. გორგაძე.

ღია წერილი პრ. ივანე ჯავახიშვილს

ბატონო ივანე!

გიორგობისთვის 7 „ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების" კრებაზე რომელსაც წაკითხულ იქმნა ქართულ მუსიკოს მომღერალთა კავშირის განცხადება „ქარ. ფილ. საზ."-ის გამგეობის მიმართ, თქვენ წარმოსთქვით: „ეს კავშირის მხრივ უზრდელობა არის".

ხსენებულ კრებაზე, სადაც ჩვენ უფრო „ქართული ფილ. საზოგადოების დემოკრატიზაცია და ნაციონალიზაცია გვაინტერესებდა და არა რომელიმე პიროვნების გამოსარჩლება ანუ გაბიაბრუება, თქვენის სიტყვების შესახებ პასუხი არ მოგახსენეთ.

ქართველ მუსიკოს - მომღერალთა კავშირი ხედავს რა თქვენს სიტყვებში შეურაცხყოფას, წინადადებას გაძლევთ თქვენივე საჯარო კრებაზე საზოგადოების წინაშე წარმოთქმული სიტყვები უკან წაიღოთ და კავშირის წინაშეც ბოდიში მოიხადოთ ბეჭდვით სიტყვის საშუალებით, წინააღმდეგ შემთხვევაში—სამედიატორო სამართალში უნდა გამოგვყვეთ, სადაც გამოკვლეულ იქნება რამდენადაც მართებული იყო თქვენი სიტყვები.

[illegible]

კალენდარი

სამშაბათი, გიორგობისთვის

21

მე-7 დღე ქრ. შობის მარხვისა.

ქართვ. † ტაძრად მიყვანა ყოვლად წმ. ღვთისმშობლისა.

კათოლ. † ტაძრად მიყვანა ღვთისმშობლ.

სომეხ. ტაძრად მიყვანა ღვთისმშობლ.

მაჰმად. სე-შემბე 18 რ. საფარა 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომშელიშ 20 რ. ქისლევი 5678 წ. ქვეყნ. შექ.

ოთხშაბათი, გიორგობისთვის

22

მე-8 დღე ქრ. შობის მარხვისა.

ქართვ. წმ. მოც. ფილიმონისა და მისთანათა.

კათოლ. ცეცილიისა.

მაჰმად. ჩარ-შემბე 19 რაც. საფარა 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომრევიი 19 რ. ქისლევი 5678 წ. ქვ. შექმ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 5,	11,32 დილ.
	სამგზ.	№ 9,	11.28 დილ.
ხაშურ-ბორჯომის.		№ 19,	3.17 დღ.
„	„	№ 17,	8.19 დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.51 დილ.
„	საფ.	№ 4,	8.46 საღ.
ყარსისკენ	სამგზ.	№ 4.8,	12.15 საღ.
„		№ 61.	8,18 დილით (მხოლოდ კვირა-უქმით ქანაქამდე).
„		№ 63.	4, 48 ნაშუადღევზე მცხეთამდე.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	8.38 დილ.
„	საფ.	№ 6,	7,41 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.57 დილ.
„	სამგზ.	№ 18,	9.50 საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 8,	10 26 დილ.
„	ჩქარ.	№ 5,	10 20 საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	7. 58 დილ.

კახეთის რკინის გზა

თბილისიდან გადის:

სამგზ. № 4, 8.58 დილ.

თბილისში მოდის:

საღამოთი 6.24 წუთ.

თბილისის ქალაქის გამგეობა

ამით აგონებს ქალაქის წყალსადენის აბონენტებს მიიღონ ზომები, რომ წყლის საზომები არ გაეყინოს. ამისათვის გაახვიონ ნახერხში, თუ თბილ ქილობებში. თუ წყლის საზომი აბონენტის უყურადღებობით გაფუჭდება ქალაქის გამგეობა პატრონის ხარჯზე გააკეთებს, ამასთან წყლით მოუსარგებლობისათვის რაიმე ზარალზე ქალაქის გამგეობა პასუხს არ აგებს. ამასთან ქალაქის გამგეობა სთხოვს წყლის საზომელთა პატრონებს ნუ მიუშვებენ წყლის მზომლებთან ისეთ პირებს, რომელთაც ქალაქის გამგეობისგან არ ექნებათ ნებართვა, რადგან წყლის მზომლების პარვა მეტად გახშირდა. 1—842—1

თბილისის

პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს" რედაქციაში ბ-ნ ეგნატე [illegible].

მეექვსე და მეშვიდე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ტურკოვის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე [illegible] ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან.

მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუფეტის გამგე კოლოტოზიშვილთან.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სათავადაზნაურო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროს განსაკუთრებით შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

ექიმი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოთი 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულ და ასოთაშორის (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოზის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილი-ხოდნევისამ

განაახლა

ავადმყოფების მიღება.

10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.

ოლღის ქუჩა, № 22.

25—823—22

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით ავადმყოფთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრონიზაციით წამლობა, მასსაჟი, [illegible] და სხ. მისამართი: ფოსტამტის შესახ. № 3, (1-ლი სამილიციო ნაწილი).

45—748—თ.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე. ბებუთოვის ქუჩა № 41 ტელეფონის № 14—09

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

თ—20

Г. ГВАЗАВА

ГРУЗІЯ

съ точки зрѣнія

МЕЖДУНАРОДНАГО ПРАВА

გამოვიდა და იყიდება საქ. ეროვ. დემ. პარტიის ბიუროში.

10 8

ამიერ-კავკასიის სააქციონერო, აფთიაქის მასალის

სავაჭრო საზოგადოება

ამით აცხადებს, რომ აქციებზე ხელის მოწერა 15 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე მიიღება: ქუთაისში—ლ. გ. კოკოჩაშვილთან, ბათუმში—მეაფთიაქე ვ. პ. ნიკოლაძესთან, სოხუმში—მეაფთიაქე ნ. კ. ჟვანიასთან, ბაქოში—მეაფთიაქე ა. ი. ალხაზიშვილთან, თბილისში—ამიერ-კავკასიის ბანკში.

2—879—1

ამიერ-კავკასიის ბანკში

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

იყიდება

ბათუმში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სააქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.

დაწვრილებითი ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კანტორაში ცარიცინის ქ. № 4. თ—766—34

ნოემბრის 21-ს, სამშაბათს, დილის 11 საათზედ,

დანიშნულია თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის

წლიური კრება

საგანი: ახალი საბჭოს არჩევა.

ეს კრება საბოლოოა, რადგან არც წინა კრება შედგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. გიმნაზია საშიშ მდგომარეობაშია ნივთიერის მხრივ და აუცილებელია ყველა [illegible] თან ახლდეს მას ამ განსაცდელის დროს.

საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბარნოვი.

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო"